

საქართველოს
საზოგადოებრივი
პანდაცვის
ფონდი

# დამაზიანებელი სექსუალური ქცევა ბავშვებსა და ახალგაზრდებში

## სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის

bice
International Catholic Child Bureau
Dignity and rights of the child
For each child, a future

OAK FOUNDATION

http://phf.org.ge

Copyright©2019, საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

# დამაზიანებელი სექსუალური ქცევა ბავშვებსა და ახალგაზრდებში

## სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის

## შესავალი

„დამაზიანებელი სექსუალური ქცევა ბავშვებსა და ახალგაზრდებში - სახელმძღვანელო ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებისთვის“ მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ და განკუთვნილია ბავშვთა დაცვის და კეთილდღეობის სფეროში მომუშავე პროფესიონალებისთვის, რომელთაც შეხება აქვთ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებთან  და ახალგაზრდებთან.

წინადებარე დოკუმენტი წარმოადგენს მტკიცებულებაზე დაფუძნებული თეორიების, პრაქტიკის და ინსტრუმენტების მიმოხილვას, რომლებიც ადგილობრივ დონეზე ბავშვებისა და ახალგაზრდების დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე კოორდინირებული და უწყებათაშორისი რეაგირების პროცესის გაუმჯობესებას შეუწყობს ხელს. მისი მიზანია:

- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის ინტეგრირებული გააზრებისა და რეაგირების მხარდაჭერა.
- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებზე რეაგირების კონტინუუმის იდენტიფიცირება, რაც მოიცავს როგორც ადრეულ იდენტიფიკაციასა და დაბალი რისკის მატარებელი შემთხვევების მხარდაჭერას, ისე მაღალი რისკისა და საჭიროებების შეფასებას, ინტერვენციასა და მათზე ინტენსიურად მუშაობას.
- წინა ხაზზე მომუშავე სააგენტოებისა და მუშაკების (განსაკუთრებით, საგანმანათლებლო სერვისების) ადრეულ იდენტიფიკაციაში, შეფასებასა და ინტერვენციაში ჩართულობის უპირატესობის წარმოჩენა, რაც გაზრდის ადრეულ ეტაპზე რეაგირების შანსებს.

- იმ უწყებათაშორისი სამუშაოს წახალისება, რომელის მიზანია, შეამციროს დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული იზოლაცია და შფოთვა, რამაც, შესაძლოა, გამოიწვიოს რისკების შეუფასებლობა ან გადაჭარბებით შეფასება.
- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის მიწოდებული სერვისების შედეგების შეფასებისა და მონიტორინგის მნიშვნელობის წარმოჩენა.

სხვა პუბლიკაციებთან ერთად, ამ დოკუმენტში ძირითადად გამოყენებულია: Hackett, S, Branigan, P and Holmes, D, *Harmful sexual behaviour framework - An evidence-informed framework for children and young people displaying harmful sexual behaviours,* (2019) second edition, London, NSPCC და Dr. Stephanie Rap and Chrisje Sandelowsky, LL.M., Department of Child Law, Leiden University Law School Advancing the Defence Rights of Children – *Manual for Practitioners* - შემუშავებული სამართლიანი სასამართლოს (Fair Trials) მიერ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საერთაშორისო ობსერვატორიასთან (IJJO), ჰელსინკის უნგრულ კომიტეტთან (the Hungarian Helsinki Committee) და APADOR-CH–თან თანამშრომლობით.

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის ექსპერთა ჯგუფის მიერ, პროექტის - „ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლა აღმოსავლეთ ევროპაში“ ფარგლებში. საქართველოში პროექტს ახორციელებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი საერთაშორისო ორგანიზაცია Bureau International Catholique de l'Enfance (BICE) - თან თანამშრომლობით. პროექტი დაფინანსებულია Oak Foundation - ის მიერ.

დოკუმენტში გამოთქმული მოსაზრებები არ ასახავს Bureau International Catholique de l'Enfance -ს და Oak Foundation ოფიციალურ მოსაზრებას.

http://phf.org.ge

Copyright©2019, საქართველოს საზოაგდოებრივი ჯანდაცვის ფონდი

# სარჩევი

**თავი 1.** რეაგირება ..... 8

ბავშვებსა და ახალგაზრდებში გამოვლენილ დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე რეაგირების კონიტინუუმი ..... 8

1.1 არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი საკითხების მიმოხილვა ..... 8

პრობლემის მასშტაბი ..... 8

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების გადამისამართება ..... 9

ბავშვების ან ახალგაზრდების დამაზიანებელი სექსუალური ქცევის განმარტება 9

რეაგირების კონტინუუმი ..... 12

"დამაზიანებელი სექსუალური ქცევის", "ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის" და სხვა ტერმინების ურთიერთმიმართება ..... 13

ძირითადი პრინციპები ..... 14

**თავი 2.** პრევენცია ..... 16

პრევენცია, იდენტიფიკაცია და ადრეული ინტერვენცია ..... 16

2.1 არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი საკითხების მიმოხილვა ..... 16

პრევენცია და საჯარო განათლება ..... 16

ქცევის იდენტიფიკაცია, ამოცნობა, გადამისამართება და რეაგირება ..... 17

ბრუკის შუქნიშანი ..... 18

იდენტიფიკაციის სახელმძღვანელო პრინციპები განათლებასთან, რეზიდენტულ დაწესებულებაში ზრუნვასთან და მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული, “წინა ხაზის” სააგენტოებისთვის ..... 21

ძირითადი პრინციპები ..... 25

**თავი 3.** შეფასება ..... 26

შეფასებისა და გადამისამართების ეფექტური გზები ..... 26

3.1 არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი საკითხების მიმოხილვა ..... 26

ინტეგრირებული მუშაობა ..... 26

სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის შეფასება ..... 26

რეზიდენტული ზრუნვის გარემოში შეფასება ..... 27
საგანმანათლებლო რეაგირების კოორდინაცია ..... 27
ტრანზიციასთან (გადაყვანასთან) დაკავშირებული საკითხები: უფროსი ასაკის ახალგაზრდები ..... 28
ძირითადი პრინციპები ..... 28
**თავი 4.** ინტერვენციები ..... 30
ინტერვენციისადმი მულტი-მოდალური მიდგომა ..... 30
4.1 არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი პრობლემების მიმოხილვა ..... 30
ინტერვენციისადმი მიდგომა ..... 30
ჩარევის კომპონენტები ..... 31
დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე მოზარდები ..... 33
დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ სწავლის დაქვეითებული უნარი ..... 34
დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდა ქალები ..... 34
ინტერნეტი და ახალი მედია ..... 35
დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე რეაგირირების აღდგნითი მიდგომა ..... 36
ძირითადი პრინციპები ..... 37
**თავი 5.** სხვა დაკავშირებული საკითხები ..... 39
5.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და მოზარდთა განვითარება ..... 39
მოზარდის განვითარება ..... 39
მოზარდის განვითარება და არასრულწლოვანთა სამართალწარმოების გაცნობიერება ..... 40
მოზარდის განვითარება და არასრულწლოვანთა დანაშაული ..... 41
კოგნიტური განვითარება ..... 41
სარისკო ქცევა ..... 42
პერსპექტივების აღქმა და იმპულსების კონტროლი ..... 42
თანატოლების ზეწოლაზე მგრძნობელობა ..... 43
ემოციური განვითარება ..... 44
ფსიქიკური ჯანმრთელობა ..... 45
სწავლისა და კომუნიკაციის სირთულეები ..... 46
5.2. ბავშვთან კომუნიკაცია ..... 49
გარემო ..... 49

მიზნის და  ძირითადი წესების ახსნა ..... 49
ურთიერთობის დამყარება ..... 51
კონფიდენციალურობა ..... 52
დამყოლობა და ჩაგონებადობა ..... 52
საუბრის ტექნიკა ..... 54
ნეგატიური ქცევა ..... 57
შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები ..... 59
მიზანზე ორიენტირებული მატრიცა: ბავშვების მოსმენა ..... 60
სასაუბრო ენა და ენის გამარტივება ..... 61
დამაზიანებელი სექსუალური ქცევა - შეფასების  ინსტრუმენტი ..... 62
გამოყენებული ლიტერატურა ..... 76

# თავი 1
# რეაგირება

## ბავშვებსა და ახალგაზრდებში გამოვლენილ დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე რეაგირების კონიტინუუმი

### 1. არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი საკითხების მიმოხილვა

#### პრობლემის მასშტაბი

ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობა არ არის იშვიათი ფენომენი. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად, აშშ-ში სექსუალური მოძალადეების მეოთხედს არასრულწლოვნები შეადგენენ (Finkelhor, Ormrod and Chaffin, 2009), ხოლო გაერთიანებულ სამეფოში ბავშვთა სექსუალური ძალადობის შეტყობინებული შემთხვევების 20%-33%-ში მოძალადე არის ბავშვი ან მოზარდი (Hackett, 2014). ამავდროულად, ოფიციალური მონაცემები პრობლემის მასშტაბებს ჯეროვნად ვერ აფასებს. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში ბავშვთა არასათანადო მოპყრობის კვლევის თანახმად, რომელიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე იდენტიფიცირებული 6,000-მდე ადამიანის საფოსტო ინდექსების გამოყენებით (Radford et al. 2011) განხორციელდა, რესპონდენტების მიერ შეტყობინებული ბავშვთა კონტაქტური სექსუალური ძალადობის შემთხვევების 2/3 18 წლამდე ასაკის პირების მიერ იყო ჩადენილი.

"მიუხედავად იმისა, რომ არსებული ინდიკატორები არ არის ამომწურავი ან უდაო, ისინი ცხადყოფს, რომ ბავშვების მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობა მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემაა, რომელმაც, შესაძლოა, სერიოზული უარყოფითი გავლენა იქონიოს არა მხოლოდ მსხვერპლზე, არამედ, ასევე, ბავშვებზე, რომელთაც ასეთი ქცევა აღენიშნებათ და მათ ოჯახებზე, ფართო ქსელებსა თუ საზოგადოებებზე" (Hackett 2014).

სამწუხაროდ, საქართველოში არ ჩატარებულა კვლევები და არ არსებობს ოფიციალური მონაცემები, რომელიც მოგვცემს ბავშვების მიერ ჩადენილი სექსუალური ძალადობის გავრცელების სურათს და ამ ფენომენის, როგორც სოციალური პრობლემის მასშტაბურობის გაანალიზების შესაძლებლობას.

## დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების გადამისამართება

სერვისებისა და აღრიცხვის სისტემების ნაკლებობის გამო, შეუძლებელია დამაზიანებელი სექსუალური ქცევის სერვისებთან გადამისამართების ზუსტი სურათის განსაზღვრა. ეს პრობლემა გაერთიანებულ სამეფოშიც არსებობს, თუმცა ამავდროულად, გაერთიანებულ სამეფოში ადგილობრივი სერვისების მიწოდების 20%-ში ჩატარებული მიმოხილვის თანახმად (Smith et al, 2013), დამაზიანებელი სექსუალური ქცევის შემთხვევებში, ძირითადად, სერვისებს მამრობითი სქესის წარმომადგენლებსა და უფროსი ასაკის ბავშვებს სთავაზობენ.

ინგლისისა და შოტლანდიის ადგილობრივი ორგანოების შემთხვევაში, სერვისის მიმღებთა უმრავლესობა ეთნიკური უმცირესობის ჯგუფების წარმომადგენელი მამაკაცები იყვნენ, ხოლო ყველა სფეროში სერვისის მომხმარებლებს შორის სახელდებოდნენ სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ახალგაზრდები.

ამჟამად სკოლები ადგილობრივ ორგანოებს სემესტრში ერთხელ აწვდიან ინფორმაციას იმ გარემოებების შესახებ, სადაც, შესაძლოა დამაზიანებელი სექსუალურ ქცევას ჰქონდეს ადგილი - მაგალითად, სექსუალური ხასიათის შეტყობინებების გაგზავნა, ბულინგი და დაჯგუფებებთან დაკავშირებული აქტივობები. მართალია, ეს საბაზისო ინფორმაციაა, თუმცა, თუ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის შემთხვევებზე მოხდება დამატებითი ინფორმაციის გამოთხოვა, ეს ხელს შეუწყობს საერთო სურათის შექმნას.

## ბავშვების ან ახალგაზრდების დამაზიანებელი სექსუალური ქცევის განმარტება

იმ ბავშვების მიმართ, რომელთაც პრობლემური სექსუალური ქცევა აღენიშნებათ, სხვადასხვა ტერმინები გამოიყენება, მაგალითად: "არასრულწლოვანი სექსუალურად მოძალადე", "ახალგაზრდა მოძალადე" და "მოზარდი მოძალადე". არაზუსტი და ბუნდოვანი ტერმინოლოგიის გამოყენებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ბავშვებისა და ახალგაზრდების არასწორად კლასიფიცირება ან არასათანადოდ "იარლიყის მიკვრა".

სპეციალისტებს შორის მკაფიო კომუნიკაციისთვის და ბავშვების, ახალგაზრდებისა და მათი ქცევის ზუსტი შეფასებისთვის მნიშვნელოვანია ერთიანი და ეფექტური ტერმინების არსებობა. წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზნებისთვის, "დამაზიანებელი სექსუალური ქცევა" განისაზღვრება, როგორც "18 წლამდე ასაკის ბავშვის ან ახალგაზრდის სექსუალური ქცევა, რომელიც განვითარებისთვის შეუფერებელია და შესაძლოა, იყოს საზიანო მათ მიმართ ან სხვების მიმართ, ან შეურაცხმყოფელი სხვა ბავშვის, ახალგაზრდის ან ზრდასრული ადამიანის მიმართ" (Hackett, 2014).

ერთმანეთისაგან უნდა განირჩეს პრობლემური და ძალადობრივი სექსუალური ქცევა:

## პრობლემური ქცევა

- პრობლემური ქცევა არ მოიცავს სხვების ღია ვიქტიმიზაციას; მან, შესაძლოა, გავლენა იქონიოს ბავშვის განვითარებაზე და გამოიწვიოს ასეთი ქცევის მქონე ბავშვის დისტრესი, უარყოფა ან ვიქტიმიზაციის ზრდა. აღნიშნული მოიცავს სექსუალურ ორგანოებთან დაკავშირებულ ქცევას, რომელიც განვითარებისთვის შეუფერებელია ან პოტენციურად საზიანოა თვითონ ბავშვებისთვის ან სხვებისთვის. ასეთი ქცევა მოიცავს პრობლემურ თვით-სტიმულაციას და არა-ინტრუზიულ ქცევას, ისევე, როგორც სექსუალურ ინტერაქციებს სხვა ბავშვებთან ერთად, სექსუალურ თამაშზე უფრო ექსპლიციტური ქცევისა და აგრესიული სექსუალური ქცევის ჩათვლით. ზოგჯერ, ტერმინი "პრობლემური სექსუალური ქცევა" გამოიყენება ისეთ ქცევასთან დაკავშირებით, რომელიც, შესაძლოა, განვითარებისთვის შესაფერისია, მაგრამ არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, შეუფერებლად არის გამოხატული.

- როდესაც ამ ტიპის ქცევა უკავშირდება ტრავმას - მაგალითად, როდესაც სიმპტომები მომდინარეობს ბავშვის მიერ განცდილი სექსუალური ძალადობიდან - ქცევას, შესაძლოა, ეწოდოს სექსუალურად რეაქტიული. სექსუალურად რეაქტიული და სექსუალურად პრობლემური ქცევა, უფრო ხშირად, ასოცირდება უმცროსი ასაკის ბავშვებთან.

## ძალადობრივი ქცევა

- ძალადობა მოიცავს იძულების ან მანიპულაციის ელემენტსა და ძალის დისბალანსს, რაც ნიშნავს იმას, რომ მსხვერპლი ვერ გამოხატავს ინფორმირებულ თანხმობას, ხოლო ქცევას აქვს ფიზიკური ან ემოციური ზიანის გამოწვევის პოტენციალი. ძალის დისბალანსი, შესაძლოა, განპირობებული იყოს ასაკის, ინტელექტუალური შესაძლებლობის, შეზღუდული შესაძლებლობის ან ფიზიკური ძალის გამო. ძალადობრივი სექსუალური ქცევა, შესაძლოა, განპირობებული იყოს სისხლის სამართლებრივი მსჯავრდებით ან დევნით.

- ასეთი ქცევა უფრო ხშირად ასოცირდება ახალგაზრდებთან, რომელთაც სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს გადააბიჯეს ან სქესობრივი სიმწიფის ასაკში იმყოფებიან.

- ვინაიდან პრობლემური და ძალადობრივი სექსუალური ქცევა განვითარებისთვის შეუფერებელია მან, შესაძლოა, განვითარების პროცესს მიაყენოს ზიანი, ამ ტიპის ქცევის აღსანიშნავად გამოიყენება ტერმინი - "დამაზიანებელი სექსუალური ქცევა" (HSB).

## ქცევის კონტინუუმი

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტებმა ერთმანეთისაგან განარჩიონ ნორმალური და დევიანტურ სექსუალური ქცევა. ბავშვის სექსუალური ქცევა, შესაძლოა, ჩაითვალოს

არანორმალურად, იმ შემთხვევაში, თუ (Chaffin, Letourneau და Silovsky. 2002, გვ.208):

- მას ადგილი აქვს უფრო ხშირად, ვიდრე ეს განვითარების გათვალსიწინებით არის მოსალოდნელი;
- აფერხებს ბავშვის განვითარებას;
- ადგილი აქვს იძულებასთან, ზეწოლასთან ან ძალის გამოყენებასთან ერთად;
- ასოცირდება ემოციურ დისტრესთან;
- ადგილი აქვს განსხვავებული განვითარების ან ასაკის მქონე ბავშვებს შორის;
- მზრუნველის მხრიდან ინტერვენციის მიუხედავად ხდება განმეორებით, ფარულად.

ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალური ქცევის სპექტრის სადემონსტრაციოდ, ჰეკეტმა (Hackett, 2010) წარმოადგინა კონტინუუმის მოდელი, რომელიც შეიცავს როგორც ნორმალურ ასევე დევიანტურ ქცევას:

| **ნორმალური** | **შეუფერებელი** | **პრობლემური** | **ბოროტად მოპყრობა** | **ძალადობრივი** |
|---|---|---|---|---|
| • განვითარების გათვალისწინებით მოსალოდნელი | • შეუფერებელი სექსუალური ქცევის ცალკეული შემთხვევები | • პრობლემური და შემაშფოთებელი ქცევა | • მსხვერპლად გადაქცევის განზრახვა ან შედეგი | • ფიზიკური სექსუალური ძალადობა |
| • სოციალურად მიღებული | • სოციალურად მისაღები ქცევა თანატოლების ჯგუფში | • განვითარებისთვის უჩვეულო და სოციალურად მოულოდნელი | • ითვალისწინებს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას | • უაღრესად შეურაცხმყოფელი |
| • შეთანხმებული, ორმხრივი, რეციპროკული | • ქცევის კონტექსტი, შესაძლოა, შეუფერებელი იყოს | • ვიქტიმიზაციის ღია ელემენტების გარეშე | • იძულება ან ძალის გამოყენება მსხვერპლის დასამორჩილებლად | • ინსტრუმენტალური ძალადობა, რომელიც ფსიქოლოგიურად და/ან სექსუალურად აღაგზნებს მოძალადეს |
| • გადაწყვეტილების ერთად მიღება | • ზოგადად შეთანხმებული და რეციპროკული | • თანხმობის საკითხები ბუნდოვანია | • შეურაცხმყოფელი | • სადიზმი |
| | | • რეციპროკულობის ან თანაბარი ძალის არ არსებობა | • ინფორმირებული თანხმობა არ არსებობს ან მსხვერპლი ვერ გამოხატავს თავისუფალ ნებას | |
| | | • შესაძლოა, შეიცავდეს აკვიატების ელემენტებს | • შესაძლოა, შეიცავდეს გამოხატულ ძალადობის ნიშნებს | |

## რეაგირების კონტინუუმი

ჰეკეტის ზემოთ წარმოდგენილი მოდელის თანახმად, დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები ერთმანეთისგან განსხვავდებიან. ისინი წარმოადგენენ კომპლექსურ ჯგუფს მრავალფეროვანი საჭიროებებით და მათზე რეაგირება შეუძლებელია სერვისის მიწოდების სტანდარტული ("one size fits all") მოდელით, რომელიც ყველა შემთხვევას მოერგება. ბავშვების და ახალგაზრდების მრავალფეროვანი საჭიროებების ცნება ითვალისწინებს სწავლის დაქვეითებული უნარის არსებობას, რომელიც მანამდე არ გამოვლენილა; სპეციფიურ საგანმანათლებლო საჭიროებებს; სხვადასხვა ფსიქო-სოციალური რისკ ფაქტორებს და ფსიქიკური ჯანმრთელობის თანმდევ პრობლემებს (Bladon et al, 2005).

ბავშვების და ახალგაზრდების დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მრავალფეროვნება ნიშნავს იმას, რომ მათი საჭიროებები უნდა დაკმაყოფილდეს განთავსების განსხვავებულ კონტექსტებში. ეს კონტექსტი შეიძლება იყოს საკუთარი სახლი (ბავშვებისა და ახალგაზრდების უმრავლესობის შემთხვევაში), ზრუნვისა და მზრუნველობის გარემო (საშუალო რისკის მატარებელი სოციალურად დაუცველი და რთულად სამართავი ახალგაზრდების შემთხვევაში) და უფრო სპეციალიზებული ან დაცული გარემო (ახალგაზრდები, რომლებიც უფრო სერიოზულ, მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან სხვებს).

რეაგირების კონტინუუმის კონტექსტში, ბავშვებისა და ახალგაზრდების შეფასება და მათი საჭიროებების დაკმაყოფილება ამ სახელმძღვანელოს მესამე დომეინის ქვეშ ხვდება: ეფექტური შეფასებისა და გადამისამართების გზები. გარდა პირველადი რეაგირებისა და მხარდაჭერისა, რომლის უზრუნველყოფაც ხდება დაბალი კატეგორიის საქმეების შემთხვევაში, სხვადასხვა დონის საჭიროებებზე და პრობლემებზე პირველადი რეაგირება მოითხოვს განსხვავებული დონისა და ინტენსივობის სერვისების ჩართვას, რომელსაც ასახავს მორისონისა და სხვების მიერ (2011) შემუშავებული მოდელი.

გამოსახულება 2: სერვისის  კონტინუუმი, მორისონი და სსხვები (2001), ადაპტირებულია Ryan (1999)



ამას გარდა, მტკიცებულებაზე დაფუძნებულ ისეთ ინტერვენციებს, როგორიცაა მულტი-სისტემური თერაპია - MST (Borduin et al, 2004), შესაძლოა დასჭირდეს ახალგაზრდის/ბავშვის განთავსება თემში არსებულ საცხოვრისში  და/ან მიმღებ ოჯახში (Chamberlain და Reid, 1998; Yokely და Boettner, 2002), რადგან ამ ახალგაზრდების/ბავშვების საკუთარ სახლში უსაფრთხოდ ცხოვრება შეუძლებელია, თუმცა, არ საჭიროებენ მკაცრ ზედამხედველობას ან დაცულ დაწესებულებაში ყოფნას, რომელიც მაღალი საფრთხის მატარებელ ახალგაზრდებს სჭირდებათ.

იმ ახალგაზრდების შემთხვევაში, რომელთა გადაყვანაც მოსალოდნელია ზრდასრული ადამიანებისათვის განკუთვნილ საპატიმრო დაწესებულებაში, სასჯელის დაგეგმვის და რისკის მართვის პროცესები უნდა ითვალისწინებდეს ახალგაზრდის ასაკსა და განვითარების იმ ეტაპს, რა ეტაპზეც ჩადენილ იქნა დანაშაული.

## "დამაზიანებელი სექსუალური ქცევის", "ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის" და სხვა ტერმინების ურთიერთმიმართება

ზემოთ განხილული განმარტებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია ტერმინ "დამაზიანებელი სექსუალური ქცევის" განსაზღვრა იმ სხვა ტერმინების ფართო კონტექსტში, რომელიც აღწერს და ახდენს სექსუალური ძალადობის ტიპების კლასიფიკაციას. ეს ტერმინები არ წარმოადგენენ მარტივ ან ფიქსირებულ კატეგორიებს და არაერთი ბავშვისა და ახალგაზრდის გამოცდილება რამდენიმე ტერმინს უკავშირდება. ამავდროულად, დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია, რომ აღინიშნოს ამ ტერმინების გამაერთიანებელი და განმასხვავებელი ნიშნები. კერძოდ, დამაზიანებელი სექსუალური ქცევისა და ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის ურთიერთმიმართება გარკვეულ განმარტებებს საჭიროებს.

ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია ბავშვის სექსუალური ძალადობის ფორმაა. მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანი ან ადამიანების ჯგუფი ბოროტად იყენებს ძალის დისბალანსს, რათა ბავშვის ან 18 წლამდე ახალგაზრდის მიმართ განახორციელოს სექსუალური ქმედება იძულების, მანიპულაციის ან მოტყუების გზით (ა) იმის სანაცვლოდ, რაც მსხვერპლს სჭირდება ან უნდა, და/ან (ბ) მოძალადის ან ხელშემწყობი პირის ფინანსური ან სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მსხვერპლმა, შესაძლოა, განიცადოს სექსუალური ექსპლუატაცია მაშინაც კი, თუ ერთი შეხედვით, სექსუალური აქტივობა არის ნებაყოფლობითი. ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია ყოველთვის არ მოიცავს ფიზიკურ კონტაქტს; იგი, შესაძლოა, ტექნოლოგიის გამოყენებითაც განხორციელდეს.

ნათელია, რომ ზოგიერთი დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდის მიერ ჩადენილი ქმედებები ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის განმარტების ქვეშ ხვდება. კერძოდ, ის ახალგაზრდები, რომლებიც სექსუალურად ძალადობენ სხვა ახალგაზრდებზე, ურთიერთობების კონტექსტში, რასაც ხშირად უწოდებენ "თანატოლთა შორის" ძალადობას, როგორც საზიანო სექსუალური ქცევის (სექსუალური ქცევა, რომელის სხვებს მსხვერპლად გადააქცევს), ისე ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის (ექსპლუატაციური, გაცვლაზე დაფუძნებული ძალადობა) ქვეშ ხვდება.

როგორც ეს მე-3 ცხრილიდან ჩანს, მიზანშეწონილია, რომ დამაზიანებელი სექსუალური ქცევა და ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია აღქმული იქნას, როგორც განსხვავებული მაგრამ ურთიერთ გადამფარავი სექსუალური ძალადობის ფორმები. ორივე შეიცავს იძულების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების, ძალადობის, თანხმობისა და არჩევანის არ არსებობის ელემენტებს.

ეს გამოსახულება არის კონცეპტუალური და დამაზიანებელი სექსუალურ ქცევასა და ბავშვის სექსუალურ ექსპლუატაციას შორის კვეთის ადგილის ილუსტრაცია. შესაძლებელია შეიცვალოს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ცვლადი ადგილობრივი განმარტებებისა და პრევალენტობის შესაბამისად.

**გამოსახულება 3:** დამაზიანებელი სექსუალური ქცევისა და ბავშვის სექსუალური ექსპლუატაციის ტერმინების ადგილი ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის უფრო ფართო ტერმინის კონტექსტში




## ძირითადი პრინციპები

- ბავშვები და ახალგაზრდები, ზრდასრულებისგან  განსხვავებით, განვითარების სხვა დონეზე იმყოფებიან  და მათ ქცევაზე რეაგირება აღნიშნულის გათვალისწინებით უნდა მოხდეს

- ბავშვებისა და ახალგაზრდების სექსუალური ქცევა არსებობს ფართო კონტინუუმზე,

რომელიც მოიცავს ქცევას ნორმალური და განვითარებისთვის შესაფერისიდან მიუღებელ და ძალადობრივამდე.

- ნებისმიერი ბავშვის სექსუალური ქცევა აღქმული უნდა იქნას განვითარების კონტექსტში, რათა მოხდეს სხვადასხვა ეტაპზე მოტივაციისა და ქცევის მნიშვნელობებს შორის ძირითადი განსხვავებების იდენტიფიცირება.

- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის აღწერა უნდა ითვალისწინებდეს ქრონოლოგიურად ასაკსა და განვითარების დონეს და იმას, თუ რა არის ჯანსაღი სექსუალური ქცევა ბავშვებში და ახალგაზრდებში. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს სწავლის  უნარის დაქვეითებასთან ან განვითარების დარღვევების მქონე ახალგაზრდებთან.

- ადგილობრივად მომსახურების მიწოდება უნდა უზრუნველყოფდეს საჭიროებების დაკმაყოფილებას განთავსების განსხვავებულ კონტექსტებში და ზედამხედველობისა და უსაფრთხოების განსხვავებულ დონეებზე.

- ბავშვებისა და ახალგაზრდების დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე რეაგირება უნდა იყოს რისკის დონისა და საჭიროებების შესაბამისი. ის უნდა  განხორციელდეს ყველაზე ნაკლებად შეურაცხმყოფელი მეთოდებით, ქცევაზე ეფექტური რეაგირების მოსახდენად.

- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები კომპლექსურ ჯგუფს წარმოადგენენ. მათ განსხვავებული საჭიროებები აქვთ და ამ საჭიროებებზე რეაგირება სერვისის მიწოდების ერთი სტანდარტული მოდელით შეუძლებელია.

- სოციალურად დაუცველ ოჯახებში მცხოვრები ბავშვები, რომლებსაც არახელსაყრელ პირობებში და სხვადასხვა რისკ ფაქტორებთან ერთად უწევთ ცხოვრება, უფრო მოწყვლადები  არიან და მეტად სავარაუდოა, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში მივიღოთ არასათანადო შედეგები. ეს პრობლემები და არახელსაყრელი პირობები მნიშვნელოვნად განსხვავდება; შესაბამისად, სერვისები უნდა იყოს საკმარისად მოქნილი, რათა ოჯახებმა მხარდაჭერა მიიღონ მათი საჭიროებების შესაბამისად, ოჯახის სააგენტოდან სააგენტოში გადამისამართების გარეშე.

- აუცილებელია მრავალ დონიანი მიდგომა, რომელიც ერთმანეთისაგან განარჩევს შემდეგი კატეგორიის ბავშვებსა და ახალგაზრდებს: მათ, ვისი საჭიროებაც, შესაძლოა დაკმაყოფილდეს მშობლების მონიტორინგით; მათ, ვისაც შეზღუდული ფსიქო-საგანმანათლებლო მხარდაჭერა სჭირდებათ და მათ, ვისაც სჭირდებათ სპეციალიზებული  სერვისები.

# თავი 2
# პრევენცია

## პრევენცია, იდენტიფიკაცია და ადრეული ინტერვენცია

### 2. არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი საკითხების მიმოხილვა

**პრევენცია და საჯარო განათლება**

იმისათვის, რომ შემცირდეს ბავშვთა სექსუალური ძალადობის შემთხვევები, საჭიროა არსებობდეს კოორდინირებული, თანმიმდევრული და უწყებათაშორისი მიდგომა, რათა დანაშაულის ჩამდენმა პირებმა მიიღონ მხარდაჭერა და საჭირო ინტერვენცია და რაც მთავარია, მოხდეს პრევენციული ზომების გატარება. დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების შემთხვევაში, პრევენციის როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

სექსუალური ძალადობისა და ექსპლუატაციის პრევენციის მოიცავს შემდეგს:

- პირველადი პრევენცია: თემის ან მოსახლეობის მასშტაბით ფართო ინიციატივების განხორციელება

- მეორეული პრევენცია: ინტერვენციები, მაღალი ძალადობის რისკის მქონე მოზარდების, ინდივიდუალური პირებისა და თემის დონეზე.

- მესამეული პრევენცია: ძალადობის შემდგომი ინტერვენციები მსხვერპლისა და მოძალადის დასახმარებლად, რათა მათი მდგომარეობა გაუმჯობესდეს და დამაზიანებელი ქცევის გამეორების რისკის შემცირდეს.

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების უმრავლესობა ზრდასრულ ასაკში არ ყალიბდება მოძალადედ, განსაკუთრებით მაშინ, თუ არსებობს სათანადო ინტერვენციები და მხარდაჭერა. კვლევის თანახმად, არა-სექსუალური დანაშაულის ხელახლა ჩადენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე სექსუალური რეციდივიზმი, რაც ხაზს უსვამს იმას, რომ ინტერვენციები ყურადღებას უნდა ამახვილებდეს ქცევასთან და განვითარებასთან დაკავშირებულ ფართო მიზნებზე, ნაცვლად მხოლოდ სექსუალური ძალადობის გამეორების პრევენციისა (Hackett and Masson,2011; Boswell et al, 2014).

პირველადი და მეორადი პრევენცია უნდა მოიცავდეს ბავშვების, ახალგაზრდების, მათი

მშობლებისა და მზრუნველობისათვის ისეთი ინფორმაციისა და კონსულტაციის მიწოდებას, რომელიც არ იწვევს სტიგმატიზაციას და არ განიკითხავს მათ. ბავშვებსა და ახალგაზრდებს უნდა შეეძლოთ სანდო ინფორმაციის მოპოვება, რთული კითხვების ანონიმურად დასმა და საჭიროების შემთხვევაში, დახმარებისა და მხარდაჭერის მარტივად მიღება.

განათლება და ჯანმრთელობა ის საყოველთაო სერვისებია, რომელზეც წვდომა აქვს თითქმის ყველა ბავშვს და ახალგაზრდას. სკოლები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის პრევენციაში, სხვადასხვა ინიციატივების საშუალებით. კერძოდ, ხარისხიანი კონსულტაციის მიწოდება და ბავშვებთან, ახალგაზრდებთან და მათ ოჯახებთან მუშაობა და რისკისა და შემთხვევის სენსიტიური მართვა.

პირადი, სოციალური, ჯანმრთელობის, ეკონომიკური, სექსუალური და ურთიერთობების შესახებ განათლება მიზნად უნდა ისახავდეს ინფორმაციის მიწოდებას და დისკუსიის ხელშეწყობას სექსისა და მასზე თანხმობის შესახებ. ასევე იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ ბავშვები, ახალგაზრდები და მათი მშობლები შემდგომი მხარდაჭერის და კონსულტაციის მიღებას. თანატოლებს შორის  მენტორინგი და კონსულტაცია, როგორც სკოლაში, ისე მის გარეთ, ხელს შეუწყობს დამაზიანებელი სექსუალური ქცევის პირველად პრევენციას.

ბავშვებსა და ახალგაზრდებს ჯანდაცვის სხვადასხვა სპეციალისტთან აქვთ კონტაქტი, როგორც ზოგადი პროფილის ექიმებთან, ისე კონკრეტული სფეროს სპეციალისტებთან, როგორიცაა, მაგალითად: ფსიქიკური ჯანმრთელობის სპეციალისტები. ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ ბავშვებში სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების ადრეული იდენტიფიკაცია.

## ქცევის იდენტიფიკაცია, ამოცნობა, გადამისამართება და რეაგირება

ბავშვებსა და ახალგაზრდებში დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გამოვლენა და იდენტიფიცირება რთულია სხვადასხვა მიზეზების გამო, მათ შორის, განსხვავებული პროფესიული ტრენინგისა და ცოდნის, გამოცდილების, კულტურისა და ღირებულებების გამო. ღია დისკუსია სექსუალური საკითხების შესახებ ჩვენს საზოგადოებაში კვლავ ტაბუდადებულია, ხოლო სპეციალისტები და ოჯახის წევრები ერიდებიან ბავშვის სექსუალური ქცევის განხილვას. ამან, შესაძლოა გამოიწვიოს, ზოგ შემთხვევებში, "ფარული" ქცევა, რომელზეც არავინ საუბრობს.

ინტერნეტთან დაკავშირებული საზიანო ან შეუსაბამო სექსუალური ქცევის ზრდა ბავშვებსა და ახალგაზრდებში გამოწვევაა მშობლებისთვის, მზრუნველობისთვის და სააგენტოებისთვის, რომლებიც ბავშვებთან და ახალგაზრდებთან მუშაობენ.

უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ სპეციალისტებმა გაითვალისწინონ ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარების კონტინუუმი. ზოგიერთი ქცევა, რაც ნორმად ითვლება ადრეული ბავშვობის ეტაპზე, შესაძლოა შეუფერებელი იყოს მოზარდისათვის. მსგავსად აღნიშნულისა, ზოგიერთი ქცევა, რომელიც მოზარდის სექსუალური განვითარების ნორმალური შემადგენელი ნაწილია, უაღრესად პრობლემურია უმცროსი ასაკის ბავშვებში.

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის კონტინუუმთან ერთად, ბრუკის შუქნიშანი (Brook, 2012) არის ინსტრუმენტი, რომელიც სპეციალისტებს დაეხმარება პრობლემური ქცევის სხვადასხვა დონის იდენტიფიცირებაში და პროპორციული და სწრაფი რეაგირების განხორციელებაში. ფართო თვალსაზრისით, ჰეკეტის სექსუალური ქცევის კონტინუუმზე და ბრუკის შუქნიშანზე წარმოდგენილი კატეგორიების ურთიერთმიმართება არის შემდეგნაირი:

- მწვანე ქცევა წარმოადგენს ნორმალურ ქცევას კონტინუუმის მოდელზე;
- ყვითელი ქცევა წარმოადგენს შეუფერებელ ან პრობლემურ ქცევას
- წითელი ქცევა ჰეკეტის კონტინუუმზე ხვდება ბოროტი მოპყრობის და ძალადობრივი ქცევის კატეგორიაში.

იდენტიფიცირების შემდგომ, დამაზიანებელი სექსუალური ქცევა (ე.ი. ქცევა, რომელიც ბავშვის ჩვეულებრივი სექსუალური განვითარების შემადგენელი ნაწილი არ არის) განხილული უნდა იქნას ბავშვის დაცვის კონტექსტში. უფრო სპეციალიზებული დახმარების საჭიროების შემთხვევაში, შეფასებისთვის და რეკომენდაციისთვის დაუკავშირდით ბავშვთა სერვისებს. ზოგ შემთხვევაში, ბავშვების დამაზიანებელი სექსუალური ქცევა, შესაძლოა, იყოს წარსულში მათზე განხორციელებული ძალადობის მარკერი, რაზეც საჭიროა რეაგირება.

**ბრუკის შუქნიშანი**

*ყველა ქცევა მოითხოვს ყურადღების და რეაგირების გარკვეულ ფორმას იქნება ეს მწვანე, ყვითელი თუ წითელი. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან ჩარევის სხვა და სხვა დონით.*

| | | |
|---|---|---|
| **რა არის მწვანე ქცევა?** | **რა არის ყვითელი ქცევა?** | **რა არის წითელი ქცევა?** |
| მწვანე ქცევა ასახავს უსაფრთხო და ჯანსაღ სექსუალურ განვითარებას.<br><br>ეს გულისხმობს:<br><br>• ქცევა, რომელსაც ვხვდებით მსგავსი ასაკის და განვითარების მქონე ახალგაზრდებსა და ბავშვებში<br>• ცნობისმოყვარეობა, ექსპერიმენტირება, შეთანხმებული მოქმედება და პოზიტიური არჩევანი | ყვითელ ქცევას აქვს პოტენციალი რომ გასცდეს უსაფრთხო და ჯანსაღ ქცევის ჩარჩოს.<br><br>ეს გულისხმობს:<br><br>• ქცევა, რომელიც უჩვეულოა კონკრეტული ბავშვის ან ახალგაზრდისთვის<br>• შეიძლება გამოიწვიოს შეშფოთება ასაკის ან განვითარებისგან განსხვავების გამო<br>• შეიძლება გამოიწვიოს შეშფოთება საქმიანობის ტიპის, სიხშირის, ხანგრძლივობის, ან კონტექსტის გამო, რომელშიც ეს ქცევა ხდება. | წითელი ქცევა უსაფრთხო და ჯანსაღი ქცევის მიღმაა.<br><br>ეს გულისხმობს:<br><br>• გადაჭარბებული, ფარული, იძულებითი, დამამცირებელი ან მუქარის შემცველ ქცევა.<br>• მნიშვნელოვანი განსხვავება ასაკის, განვითარების, ან ძალის ჩათვლით.<br>• იწვევს შეშფოთებს საქმიანობის ტიპის, სიხშირის, ხანგრძლივობის ან კონტექსტის გამო. |
| **რა შეგვიძლია გავაკეთოთ?** | **რა შეგვიძლია გავაკეთოთ?** | **რა შეგვიძლია გავაკეთოთ?** |
| მწვანე ქცევა იძლევა პოზიტიური უკუკავშირის და დამატებითი ინფორმაციის მიღების საშუალებას. | ყვითელი ქცევა გვაძლევს ნიშანს, რომ მეტი ყურადღება გავამახვილოთ და დამატებითი ინფორმაცია მოვიპოვოთ შესაბამისი ქცევის შესაფასებლად. | წითელი ქცევა მიუთითებს დაუყოვნებლივი ჩარევისა და მოქმედების აუცილებლობაზე. |

## 0-5 წელი

| რა არის მწვანე ქცევა? | რა არის ყვითელი ქცევა? | რა არის წითელი ქცევა? |
|---|---|---|
| • საკუთარი სასქესო ორგანოების ხელით შეხება და თამაში<br>• სხვა ბავშვების სასქესო ორგანოებით დაინტერესება და მათზე შეხება<br>• შეხების მცდელობა ან ინტერესი მოზრდილის მკერდის ან გენიტალიების შესახებ<br>• თამაშები, მაგალითად: დედა შვილობანა, ექიმობანა და ა.შ<br>• სიშიშვლით სიამოვნება<br>• სხეულის ნაწილების და მათი ფუნქციების მიმართ ინტერესი<br>• ბიჭებსა და გოგოებს შორის განსხვავებით დაინტერესება | • ზრდასრულების სექსუალური ქცევით დაინტერესება<br>• სხვა ბავშვებისთვის, მათი ნების საწინააღმდეგოდ შარვლის ჩაწევა/ ქვედაბოლოს აწევა და ა.შ<br>• სექსზე საუბრისას ზრდასრულებისთვის დამახასითებელი ენის გამოყენება<br>• გადაჭარბებული ფიქრი სხვა ადამიანების სასქესო ორგანოებზე შეხების შესახებ<br>• სხვა ადამიანებთან ერთად საპირფარეშოში ან ოთახში შესვლა, შეხების ან ყურების მიზნით<br>• ტელევიზორში/ ინტერნეტში ნანახი სექსუალურ ქმედებებზე საუბარი | • მუდმივად სხვა ბავშვების სასქესო ორგანოებზე შეხება<br>• ზრდასრულთა სასქესო ორგანოებზე შეხების მუდმივი მცდელობა<br>• სექსუალური ქმედებების სიმულაცია თამაშის დროს.<br>• სექსუალური ქცევა მცირეწლოვან ბავშვების მიმართ საგნებში შეღწევადობის ჩათვლით<br>• სხვა ბავშვების იძულებით ჩართვა სექსუალურ ხასიათის თამაშებში. |

## 5-9 წელი

| რა არის მწვანე ქცევა? | რა არის ყვითელი ქცევა? | რა არის წითელი ქცევა? |
|---|---|---|
| • საკუთარი სასქესო ორგანოების შეგრძნება და შეხება<br>• სხვა ბავშვების სასქესო ორგანოებით დაინტერესება<br>• სექსისა და ურთიერთობების შესახებ ინტერესი, მაგ. განსხვავებები ბიჭებსა და გოგოებს შორის, როგორ ხდება სექსუალური აქტი, საიდან ჩნდება ბავშვი, ერთსქესიანი ურთიერთობები<br>• სხეულთან მიმართებაში პრივატულობის შეგრძნება<br>• ისტორიების მოყოლა ან კითხვების დასმა სხეულის ნაწილების უწმაწური სიტყვებით და ჟარგონების გამოყენებით. | • ხშირი ან განმეორებადი კითხვები სექსუალური აქტივობის შესახებ პასუხის მიუხედავად<br>• პირისპირ, ტექსტური ან ონლაინ შეტყობინებით საშუალებით სექსუალური ბულინგი,<br>• სხვა ბავშვების მასტურბაციაში ჩართვა<br>• მუდმივი სექსუალური ხატები და იდეები ლაპარაკის, თამაშისა და ხატვის დროს<br>• სექსზე საუბრისას ზრდასრულებისთვის დამახასიათებელი ჟარგონული ენის გამოყენება | • ხშირი მასტურბაცია სხვების წინაშე<br>• მნიშვნელოვნად უმცროსი ან ნაკლები უნარების მქონე ბავშვების სექსუალურ ქცევაში ჩართვა<br>• სხვა ბავშვების იძულებით ჩართვა სექსუალურ ქცევაში<br>• ორალური ან გენიტალური სექსის სიმულაცია<br>• ინტერნეტში პორნოგრაფიული მასალის შეგროვება |

## 9-13 წელი

| 🟢 რა არის მწვანე ქცევა? | 🟡 რა არის ყვითელი ქცევა? | 🔴 რა არის წითელი ქცევა? |
|---|---|---|
| • განმარტოებით მასტურბაცია<br>• სექსუალური ენის გამოყენება გინების და ჟარგონული სიტყვების ჩათვლით<br>• იმავე, საპირისპირო ან ნებისმიერი გენდერის „შეყვარებულის“ ყოლა<br>• ინტერესი პოპულარული კულტურის მიმართ, მაგ. მოდა, მუსიკა, მედია, ონლაინ თამაშები, ონლაინ ჩატი<br>• პრივატულობის მოთხოვნილება<br>• კოცნა, ჩახუტება, თანატოლებთან ხელჩაკიდებული სიარული | • უჩვეულო ან რისკის შემცველი ქცევა, მაგ. ჩაცმის სტილის უეცარი და/ან პროვოკაციული ცვლილებები, მეგობრებისგან გამოყოფა, ახალი ან მასზე უფროს მეგობრებთან დიდი დროის გატარება, ჩვეულებრივზე მეტი ფულის ხარჯვა, სახლიდან წასვლა/დაკარგვა<br>• სიტყვიერი, ფიზიკური ან ვირტუალური სექსუალური ბულინგი, რომელიც მოიცავს სექსუალურ აგრესიას<br>• ლგბტ (ლესბოსელი, გეი, ბისექსუალი, ტრანს გენდერი) ადამიანების მიზნობრივი ბულინგი<br>• ეგზიბიციონიზმი, მაგ. სასქესო ორგანოების ჩვენება ან სახალხოდ გაშიშვლება<br>• საკონტაქტო ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის მეშვეობით<br>• პორნოგრაფიის ყურება<br>• ორსულობის ან სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების შესახებ წუხილი | • სხვების წინაშე მასტურბაცია ან გენიტალიების ჩვენება<br>• საკუთარი ან სხვისი შიშველი ან სექსუალურად პროვოკაციული სურათების გავრცელება<br>• უმცროს ბავშვებთან სექსუალური ხასიათის საუბრები<br>• სექსუალური შევიწროვება<br>• ონლაინ მეგობრებთან საიდუმლო შეხვედრების მოწყობა<br>• საკუთარი ან სხვისი სასქესო ორგანოების დაზიანება<br>• იმავე ასაკის, უმცროსი ან ნაკლები უნარების მქონე ბავშვების სექსუალურ ქმედებებში ძალით ჩართვა<br>• სექსუალური ქმედება მაგ. ორალური ან გენიტალური სექსი<br>• სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების არსებობა<br>• ორსულობა |

## 13-17 წელი

| 🟢 რა არის მწვანე ქცევა? | 🟡 რა არის ყვითელი ქცევა? | 🔴 რა არის წითელი ქცევა? |
|---|---|---|
| • განმარტოებით მასტურბაცია<br>• სექსუალური ხასიათის საუბრები თანატოლებთან<br>• უხამსი ხუმრობები არსებული კულტურის გათვალისწინებით<br>• ეროტიკის / პორნოგრაფიისადმი ინტერესი<br>• ინტერნეტის გამოყენება მიმოწერისთვის<br>• სექსუალური ან არა სექსუალური ურთიერთობები<br>• სექსუალური აქტივობები, რომელიც გულისხმობს ჩახუტებას, კოცნას, ხელის ჩაკიდებას | • ძალადობრივ და ექსპლუატაციურ პორნოგრაფიაზე წვდომა<br>• უჩვეულო ან რისკის შემცველი ქცევა, მაგ. ჩაცმის სტილის უეცარი და/ან პროვოკაციული ცვლილებები, მეგობრებისგან გამოყოფა, ახალი ან მასზე უფროს მეგობრებთან დიდი დროის გატარება, ჩვეულებრივზე მეტი ფულის ხარჯვა, სახლიდან წასვლა/დაკარგვა<br>• საკუთარი სხეულის შესახებ წუხილი<br>• საკუთარი ან სხვისი შიშველი ან სექსუალურად პროვოკაციული სურათების გავრცელება | • სხვების წინაშე მასტურბაცია ან გენიტალიების ჩვენება<br>• სექსზე გადამეტებული ფიქრი, რაც ხელს უშლის ყოველდღიურ ფუნქციონირებას<br>• საკუთარი თავის ან სხვების სექსუალური დამცირება<br>• სხვების იძულება/იძულების მცდელობა გენიტალიების გამოჩენის მიზნით<br>• სექსუალურად აგრესიული / ძალადობრივი ქცევა<br>• სექსუალურ თემებზე საუბარი უმცროს ბავშვებთან<br>• სქესობრივი შევიწროვება |

| | | |
|---|---|---|
| • თანხმობა ორალურ ან გენიტალიურ სექსუალურ კავშირზე, იმავე ან საპირისპირო სქესის, მსგავსი ასაკისა და განვითარების დონის მქონე სხვა ადამიანთან<br>• არჩევანი, რომ არ იყვნენ სექსუალურად აქტიურები. | • ჩუმად სხვისი თვალთვალის, სიშიშვლის დემონსტრირების, სახალხოდ გაშიშვლების ან ვულგარული ქცევის ერთჯერადი შემთხვევა<br>• საკონტაქტო ინფორმაციის გავრცელება ინტერნეტის მეშვეობით<br>• ზრდასრულთა საიტებზე შესვლა და ყალბი პერსონალური ინფორმაციის მიწოდება<br>• პირისპირ შეხვედრის მოწყობა ონლაინ ნაცნობებთან. | • სხვისი ნების საწინააღმდეგოდ განხორციელებული სექსუალური აქტივობა<br>• სქესობრივი ურთიერთობებში ძალაუფლების და კონტროლის გამოყენება<br>• საკუთარი ან სხვისი სასქესო ორგანოს დაზიანება<br>• სქესობრივი კავშირი გაცილებით უფროს ან განსხვავებული უნარების მქონე ადამიანებთან<br>• სქესობრივი კავშირი ავტორიტეტულ ადამიანთან ნდობის მოსაპოვებლად<br>• სქესობრივი კავშირი ოჯახის წევრებთან<br>• სექსუალურ ექსპლუატაციაში ან / და ტრეფიკინგში მონაწილეობა<br>• სქესობრივი კონტაქტი ცხოველებთან<br>• საჩუქრების ან ფულის მიღება სექსის სანაცვლოდ. |

## იდენტიფიკაციის სახელმძღვანელო პრინციპები განათლებასთან, რეზიდენტულ დაწესებულებაში ზრუნვასთან და მინდობით აღზრდასთან დაკავშირებული, "წინა ხაზის" სააგენტოებისთვის

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის შემთხვევებში, არსებულ ბარიერებზე შეთანხმება „წინა ხაზზე" მომუშავე სააგენტოებს შორის, და მათ შორის, ვინც ყოველდღიურად ზრუნავს ბავშვებსა და ახალგაზრდებზე, წარმოადგენს უწყებათშორისი ეფექტური რეაგირების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას. ბარიერები განსხვავდება გეოგრაფიულად და მომსახურების მიწოდების საპასუხოდ. არსებული ბარიერები ხშირად, დინამიურია და დამოკიდებულია ადგილობრივ დონეზე სერვისის მიწოდებაზე და საბოლოო ჯამში, დამაზიანებელი სექსუალური ქცევის საკითხების სტრატეგიულ გააზრებაზე.

### საგანმანათლებლო სერვისები

სკოლები, კოლეჯები და მცირე ასაკის ბავშვებისათვის განკუთვნილი დაწესებულებები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარებასა და განათლებაში. შესაბამისად, ისინი შესაძლოა, იყვნენ სექსუალური ქცევის ადრეული შემთხვევების მოწმეები ან წარმოადგენენ საკონტაქტო პირს შეტყობინების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებები, ხშირად, ფუნდამენტურ როლს თამაშობს რისკის

მართვაში და ეფექტური ყოველდღიური რუტინის უწყვეტ ხელშეწყობაში, იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომელთაც დამაზიანებელი სექსუალური ქცევა აღენიშნებათ ან რომელთა მიმართ მიმდინარეობს გამოძიება. საგანმანათლებლო სერვისები ეფექტური პარტნიორობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და სათანადო საგანმანათლებლო გარემოს შესანარჩუნებლად აუცილებელია მათი მონაწილეობა ინფორმაციის გაზიარებისა და უსაფრთხოების გეგმებისა და ზედამხედველობის კოორდინირებაში.

## ადრეული ამოცნობა

განმეორებადი ტენდენციების შექმნის თავიდან ასაცილებლად, მნიშვნელოვანია იმ უმცროსი ასაკის ბავშვების (12 წლამდე) ადრეული იდენტიფიცირება, რომელთაც აღენიშნებათ დამაზიანებელი ან პრობლემური სექსუალური ქცევა (Vizard et al, 2007). სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სპეციალისტებმა არ უნდა მოახდინონ ცალკეული ქცევის ანალიზი, არამედ სექსუალური ქცევა განიხილონ ფართო კონტექსტში (Gil and Shaw, 2013). შეფასება უნდა ითვალისწინებდეს კეთილდღეობის საჭიროებებსა და პრობლემურ საკითხებს, მათ შორის, ოჯახურ პრობლემებს და სოციალურ, ეკონომიკურ და განვითარებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს (Hackett, 2014), ხოლო მიდგომა უნდა იყოს ზრდასრული ადამიანებისადმი მიდგომისგან განსხვავებული, რადგან ზრდასრული ადამიანების ქცევას განსხვავებული მოტივები აქვს (Chaffin, Letourneau and Silovsky, 2002).

სპეციალისტებმა უნდა შეამჩნიონ მცირედი ცვლილებაც კი უმცროსი ასაკის ბავშვის სექსუალურ ქცევაში, რომელიც მისი განვითარების ეტაპსა და გააზრების დონეს არ შეესაბამება, რადგან ასეთი ქცევა, შესაძლოა, იყოს სექსუალურ ვიქტიმიზაციის, ფიზიკურ ძალადობის, ოჯახში ძალადობის, უგულებელყოფის, ბავშვის არასათანადოდ აღზრდის ან ისეთ სექსუალურ მასალასთან შემხებლობის ნიშანი, რომელიც ბავშვისათვის შეუფერებელია (ATSA, 2006).

ხშირად არ ხდება დაზე ან ძმაზე სექსუალური ძალადობის იდენტიფიცირება, თუმცა, აღნიშნული ოჯახში სექსუალური ძალადობის ყველაზე გავრცელებული ფორმაა (Monahan, 2010).

დადგენილია, რომ მოზარდების მიერ ჩადენილი დანაშაულებების ნახევარზე მეტი მიმართულია დის ან ძმის წინააღმდეგ (Shaw, 1999), ხოლო ასეთი სექსუალური ძალადობის მსხვერპლთა მხოლოდ 19.5%-მა მოახდინა მომხდარის გამჟღავნება (Carlson et al, 2006). სკოლები ხშირად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადრეული იდენტიფიკაციის კუთხით. მოკლედ რომ ვთქვათ, ადრეული ამოცნობა უზრუნველყოფს ადრეული ინტერვენციისა და რეაგირების შესაძლებლობას. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს, რომელთაც ადრეული რეაგირების განხორციელება შეუძლიათ, გააჩნდეთ ნორმალური, პრობლემური და საზიანო ქცევის იდენტიფიცირების უნარი და ცოდნა, თუ როგორ უნდა მოხდეს მათზე რეაგირება.

## ჯანდაცვის სერვისები

ჯანდაცვა და განათლება საყოველთაო სერვისებია, რომელზეც ხელი მიუწვდება თითქმის ყველა ბავშვს და ახალგაზრდას. ყველაზე ხშირად, დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მანიფესტაცია ხდება სკოლაში და სახლში. სკოლის მედდებს და ჯანდაცვის წარმომადგენლებს ყველაზე უკეთ შეუძლიათ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გამოვლენა და მასზე რეაგირება. საყოველთაო ჯანდაცვა, რომლის უზრუნველყოფაც ხდება პირველადი მზრუნველობის სერვისის პროვაიდერების საშუალებით, მნიშვნელოვან შესაძლებლობას ქმნის ინცინდენტების ან იმ მზარდი პრობლემური საკითხების გამოსავლენად, რომელიც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს დამაზიანებელი სექსუალური ქცევის ინცინდენტების გააზრების და გამოვლენისთვის. თუ ზოგადი პროფილის ექიმებს და მედდებს ექნებათ სათანადო ცოდნა ასაკის შესაბამისი ან შეუსაბამო სექსუალური განვითარების გამოსავლენად, ბავშვებთან და ახალგაზრდებთან დაკავშირებული რისკები უკეთ იქნება გააზრებული.

## რეზიდენტულ დაწესებულებაში ზრუნვა და მინდობით აღზრდა

მსხვერპლებისა და სხვა ბავშვების დაცვის და დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდების უსაფრთხოების მაქსიმალურად გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები საკუთრ ოჯახში და თემში დარჩნენ. წინასწარ არ უნდა იქნას ნავარაუდევი, რომ ყველა ბავშვი, რომელსაც აღენიშნება დამაზიანებელი სექსუალური ქცევა, საჭიროებს მზრუნველობას სახლის გარეთ. კერძოდ, იმ ბავშვებზე ან ახალგაზრდებზე, რომელთა ქცევაც კონტინუუმის მოდელზე ხვდება არასათანადო და პრობლემური ქცევის კატეგორიების ქვეშ, შესაძლებელია, რომ სათანადო დონის ოჯახური მხარდაჭერისა და მშობლის ხელმძღვანელობის პირობებში მზრუნველებმა თვითონ იზრუნონ მათივე ოჯახის წევრებზე.

ამავდროულად, ზოგ შემთხვევაში აუცილებელია რეზიდენტულ დაწესებულებაში ან მინდობით აღზრდაში ბავშვის განთავსება. განსაკუთრებით იმ ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, რომელთა ქცევაც კონტინუუმის მოდელზე ხვდება ბოროტი მოპყრობის ან ძალადობრივი ქცევის კატეგორიების ქვეშ და რომლებზეც უარი თქვეს მათმა ოჯახებმა დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გამოვლენის გამო და/ან თუ მათი სახლში ცხოვრება აღარ არის უსაფრთხო.

რეზიდენტულ დაწესებულებაში განთავსება ინტენსიურ თერაპიულ პროგრამასთან ერთად, უნდა უზრუნველყოფდეს ახალგაზრდა ადამიანის გარემოს უკეთეს ფორმირებას და მათთვის ქცევის მისაღები გზების გაცნობის შესაძლებლობას, რაც შეამცირებს დამაზიანებელ სექსუალურ ქცევას, პრო-სოციალური უნარების გაუმჯობესების გზით. ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის უსაფრთხო განთავსება უზრუნველყოფს იმ ახალგაზრდების კომპლექსური შეფასებისთვის საჭირო დროს, რომელთა ქცევის ეფექტურად მართვა თემში შეუძლებელია, მაგრამ საბოლოოდ, საჭიროა, რომ მოხდეს ამ ადამიანების თემში დაბრუნება.

მომსახურებები (სერვისები)

დღეს-დღეისობით კარგად ცნობილია, რომ ახალგაზრდებს შეუძლიათ ჩაერთონ ფართო სპექტრის სერიოზული და მავნე სექსუალური აქტივობებში, დაწყებული არა კონტაქტური ძალადობრივ ქმედებიდან კონტაქტურამდე.

ხშირად თავად ეს მოზარდები იმყოფებიან მოწყვლად მდგომარეობაში. რაც განპირობებულია, მაგალითად: რთული ოჯახური და სოციალური წარმომავლობის გამო ან იმის გამო, რომ ისინი განიცდიან ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის ან ზოგადი უგულებელყოფის მაღალ დონეს, ხოლო უმრავლეს მათგანს კომორბიდულად სერიოზული ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები აღენიშნებათ.

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გამოვლენის შემდეგ, ხდება ახალგაზრდის გადამისამართება სპეციალიზირებულ სერვისებში, "მკურნალობისთვის". ძალადობის პრევენციის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მოდელში, მესამეული სერვისები წარმოადგენს სერვისებს, რომელიც ახდენს სექსუალური ძალადობის შემთხვევაზე რეაგირებას მას შემდეგ, რაც ეს შემთხვევა მოხდა. ეს სერვისები, შეიძლება იყოს თემზე დაფუძნებული ან რეზიდენტული. ზოგიერთი მათგანი ფოკუსირებას ახდენს, როგორც მსხვერპლზე, ისე დამნაშავეზე, ზოგი კი ან მსხვერპლზე ან დამნაშავეზე.

ასევე, არსებობს კიდევ უფრო სპეციალიზებული სერვისებიც - მაგალითად, ისინი განკუთვნილია იმ ახალგაზრდებისთვის, რომელთაც სექსუალური ქცევის პრობლემები აქვთ და ამასთან ერთად გააჩნიათ სხვა კომპლექსური საჭიროებები. სპეციალიზირებული სერვისის ინტერვენციები ხშირად ფოკუსირებას ახდენს ახალგაზრდების ზოგად საჭიროებებზე სექსუალურ ქცევასთან ერთად. ეს ხდება იმიტომ, რომ ამ ახალგაზრდებს, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ხშირად აღენიშნებათ განვითარების, სოციალური და ინტერპერსონალური პრობლემების ფართო სპექტრი, როგორიცაა, მაგალითად: ბრაზის მართვასთან დაკავშირებული პრობლემები და/ან ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარების პრობლემები.

სპეციალიზებული სერვისების ფარგლებში ხორციელდება დეტალური კლინიკური შეფასება, კერძოდ, ახალგაზრდა ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბუნების დოკუმენტირება და ასევე, მნიშვნელოვანი დამატებითი ინფორმაციის შეგროვება, როგორიცაა - მისი პიროვნული მახასიათებლები და ჯანმრთელობის პრობლემები. ამის შემდეგ ხდება მიზნობრივი მკურნალობის გეგმის შემუშავება. ეს სამსახურები, ასევე, მუშაობენ ახალგაზრდებთან ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა - რეციდივის პრევენცია და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება. კერძოდ, ახალგაზრდები ხშირად გადიან მოდულებს ისეთ თემებზე, როგორიცაა, საკუთარ ქმედებებზე პასუხისმგებლობის აღება, პორნოგრაფიის მოხმარება, ემპათია მსხვერპლის მიერ და სოციალური და კომუნიკაციის უნარები და ა.შ. სპეციალისტები დღეს-დღეობით ფართოდ აღიარებენ, რომ სექსუალური ძალადობის ჩამდენი ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სერვისები უნდა ეფუძნებოდეს განვითარებისადმი სენსიტიურ მიდგომას, ხოლო ახალგაზრდებს არ უნდა ეპყრობოდნენ, როგორც "სექსუალურ მოძალადეს", რომლის პრობლემური ქცევა შეცვლას არ ექვემდებარება.

## ძირითადი პრინციპები

- საჭიროა პირველადი, მეორეული და მესამეული პრევენციის მიდგომები. ინტერვენციისადმი ყველაზე შესაფერის მიდგომას წარმოადგენს მრავალ დონიანი მიდგომა. აუცილებელია, რომ არსებობდეს მრავალ დონიანი მიდგომა, რომელიც ერთმანეთისაგან განარჩევს შემდეგი კატეგორიის ბავშვებსა და ახალგაზრდებს: მათ, ვისი საჭიროებაც, შესაძლოა, დაკმაყოფილდეს მშობლების მონიტორინგით; მათ, ვისაც შეზღუდული ფსიქო-საგანმანათლებლო მხარდაჭერა სჭირდებათ და მათ, ვისაც სარგებელს მოუტანს უფრო სპეციალიზებული დახმარება და განთავსება შესაბამის სერვისში.

- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდების განვითარების და ქცევითი პატერნების არასწორად გაგების შემთხვევაში, იზრდება შესაძლებლობა იმისა, რომ სააგენტოების რეაგირება იყოს არასათანადო.

- ის რისკ ფაქტორები, რომელიც ხელს უწყობს დამაზიანებელი სექსუალური ქცევის განვითარებას და გაგრძელებას მიუთითებს იმაზე, რომ მხარდაჭერა მხოლოდ პრობლემური სექსუალური ქცევისკენ არ უნდა იყოს მიმართული, არამედ, ასევე ბავშვის ოჯახში არსებული ფართო პრობლემური საკითხებისკენ და პოტენციურად გადაუჭრელი ტრავმისა და არასათანადოდ მოპყრობის ისტორიებისკენ.

- უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ახალგაზრდების უსარგებლო მარკირება (იარლიყის მიკვრა) ან სტიგმატიზაცია, დამაზიანებელი სექსუალური ქცევის იდენტიფიკაციის შედეგად.

- მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლებმა და სპეციალისტებმა, რომელთაც აქვთ ადრეული რეაგირების შესაძლებლობა, მიიღონ განათლება ნორმალური, პრობლემური და საზიანო ქცევების იდენტიფიკაციისა და შესაბამისი რეაგირების კუთხით.

- ჩვენ უკეთ უნდა განვავითაროთ პროფესიული კავშირები და ვაღიაროთ მათი მნიშვნელობა, რადგან ისინი სხვადასხვა პროფესიული გამოცდილებისა და ცოდნის საუკეთესოდ გამოყენების შესაძლებლობას იძლევა (მაგალითად, განათლების სპეციალისტთა უნარები კომუნიკაციისა და ენობრივი სირთულეების გადაჭრისას და/ან ჯანდაცვის სპეციალისტთა უნარები ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებისა და სწავლის დაქვეითებული უნარის გავლენაზე მუშაობის კუთხით).

# თავი 3
# შეფასება

# შეფასებისა და გადამისამართების ეფექტური გზები

## 3.1 არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი საკითხების მიმოხილვა

### ინტეგრირებული მუშაობა

უწყებათაშორისი ჩარჩოს განვითარება, რომელიც ახდენს გადამისამართების, შეფასების, ინტერვენციისა და შემთხვევის მართვის პროცესის დოკუმენტირებას ახალგაზრდებში და ბავშვებში დამაზიანებელი სექსუალური ქცევის შემთხვევის ეფექტური მართვის განუყოფელი ნაწილია.

უწყებათაშორისი პოლიტიკა ახდენს უწყებების პარტნიორული მიდგმისადმი მზაობისა და იმ საერთო ფილოსოფიის დემონსტრირებას, რომელიც განსაზღვრავს მოლოდინებს მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების მიმართ. უწყებათაშორისი პოლიტიკა განსაზღვრავს ქმედებებს, განმარტავს ინდივიდუალურ როლებსა და პასუხისმგებლობებს და უზრუნველყოფს კარგი პრაქტიკის ორიენტირს. თანამშრომლობა უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ჯგუფის ბავშვების, ახალგაზრდებისა და მათი ოჯახებისთვის: ხშირად, მათ აქვთ კომპლექსური საჭიროებები, რომელთა დაკმაყოფილებაც შეუძლებელია ერთი სააგენტოს მიერ და როგორც ასეთი საჭიროებს თანმიმდევრულ, კომბინირებულ რეაგირებას.

### სისხლის სამართლებრივი მართლმსაჯულების სისტემის შეფასება

ყველა ბავშვი და ახალგაზრდა, რომელიც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში შედის, უნდა იღებდეს საჭიროებების სტრუქტურულ შეფასებას.

არსებობს რეკომენდაციები ინფორმაციის გაზიარების, კომუნიკაციისა და მართვის კონტროლის და დამაზიანებელი ან შეუფერებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდებთან მომუშავე სპეციალისტების ზედამხედველობის გაუმჯობესებისთვის.

კვლევები ადასტურებენ, რომ ქცევაზე რეაგირება უფრო ეფექტური იყო იმ შემთხვევაში, როდესაც რეაგირების განმახორციელებელს შესაბამის სფეროში გააჩნდა სპეციალიზებული ცოდნა ან მომზადება.

## რეზიდენტული ზრუნვის გარემოში შეფასება

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების განთავსება, რომლებიც საჭიროებენ სახლის გარეთ მზრუნველობას, უნდა მოხდეს ადგილობრივ დონეზე - მაგალითად, მათ საცხოვრებელთან ახლო ბავშვთა სახლებში და მინდობით აღზრდაში. ამგვარი განთავსება ბავშვებს საშუალებას აძლევს, დარჩნენ თავიანთ ადგილობრივ თემში და შეინარჩუნონ კავშირები თავის ოჯახებთან, მეგობრებთან და თემთან (სკოლები და ჯანდაცვის სერვისები). ადგილობრივი განთავსება, ასევე ქმნის თემზე დაფუძნებული შეფასების სერვისებისა და თერაპიული მხარდაჭერის შეთავაზების უკეთეს შესაძლებლობას.

ამავდროულად, არ არსებობს შეფასებისა და მკურნალობის საერთო პროტოკოლები დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვების და ახალგაზრდებისთვის რეზიდენტულ გარემოში, იქნება ეს კერძო თუ ადგილობრივი ორგანოს მმართველობაში შემავალი, დაცულ დაწესებულებაში თუ საქველმოქმედო სექტორში. ზოგჯერ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდების განთავსება ხდება მათი ოჯახებიდან და ადგილობრივი თემიდან მოშორებით, შეფასებისა და ინტერვენციების სერვისების ადგილობრივ დონეზე არ არსებობის გამო. სახლის გარეთ სპეციალიზებული ზრუნვის გარემოში, თემისგან და ოჯახისგან მოშორებით განთავსების გამოყენება უნდა განისაზღვროს რისკებისა და საჭიროებების სპეციალური შეფასების შედეგად და არა ადგილობრივ დონეზე შესაბამისი სერვისების არ არსებობის საფუძველზე.

## საგანმანათლებლო რეაგირების კოორდინაცია

დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე რეაგირების პროცესში, საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გაითვალისწინონ სხვადასხვა ფაქტორები, რომელიც სხვა გარემოში იშვიათად წარმოიქმნება:

- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდა და მსხვერპლი, შესაძლოა, ერთსა და იმავე სკოლაში დადიოდნენ, რა შემთხვევაშიც საჭიროა რისკის შეფასება და ღონისძიებების განხორციელება ორივე მოსწავლის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

- შესაძლოა შემთხვევა შეეხებოდეს რამდენიმე ახალგაზრდას.

- პრობლემური ქცევა შესაძლოა ხდებოდეს სკოლის სპეციფიურ გარემოში და თანატოლთა ფართო ჯგუფში წარმოშობდეს კითხვებს სექსუალური ინტერაქციების შესახებ.

- შესაძლოა, საფრთხე შეექმნას სკოლაში განთავსებას, რის გამოც გათვალისწინებული უნდა იქნას დროებით სხვა სკოლაში გადაყვანის ან გარიცხვის შესაძლებლობა.

- არსებობს რისკი იმისა, რომ სკოლაში დაბრუნების შემდგომ ზოგიერთი ახალგაზრდა გახდეს ბულინგის მსხვერპლი.

- რიგ შემთხვევებში განათლების ოფიცერი სკოლის წარმომადგენლებს ხვდება შემთხვევის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 24 საათში, მხარდაჭერის ან კონსულტაციის უზრუნველსაყოფად ან პრობლემური საკითხების გადაჭრაზე ან კოორდინირებაზე პასუხისმგებლობის ასაღებად.

## ტრანზიციასთან (გადაყვანასთან) დაკავშირებული საკითხები: უფროსი ასაკის ახალგაზრდები

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვები და ახალგაზრდები ხშირად განიცდიან ტრანზიციას, მათ შორის, საგანმანათლებლო, საცხოვრებელ და ასაკთან დაკავშირებული სერვისების ცვლილებებს. თუ ახალგაზრდაზე მზრუნველობა ხორციელდება სახლის გარეთ, განსაკუთრებით კი ადგილობრივი თემისგან მოშორებით, ან თუ ახალგაზრდა იმყოფება დაცულ გარემოში, მისი თემში დაბრუნების დაგეგმვა უაღრესად მნიშვნელოვანია. აღნიშნული, შესაძლოა მოიცავდეს ოჯახში ურთიერთობების გამოსწორებას/აღდგენას. ხშირად ხდება გადაყვანის ასეთი საკითხების უგულებელყოფა, ხოლო ზოგჯერ ახალგაზრდები ბრუნდებიან სარისკო სიტუაციაში, სადაც არ ხდება მათი საჭიროებების დაკმაყოფილება და ეფექტური პროფესიული მხარდაჭერის აღმოჩენა.

მნიშვნელოვანია ნებისმიერი ტრანზიციის ფარგლებში ეფექტური უწყებათაშორისი თანამშრომლობის გაგრძელება, რელევანტური სენსიტიური ინფორმაციის გაზიარება, მიმდინარე ზედამხედველობასთან დაკავშირებული მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა და მზრუნველობის ისეთი მკაფიო გეგმის არსებობა, რომელიც იმპლემენტაციისთვის საკმარის დროს ითვალისწინებს.

## ძირითადი პრინციპები

- ნებისმიერ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ჰოლისტური შეფასების განხორციელება, რაც მკაფიო წარმოდგენას იძლევა ბავშვის ან ახალგაზრდის სექსუალური ქცევის შესახებ და იმის შესახებ, თუ რამდენად უნდა ჩაითვალოს ასეთი ქცევა კონკრეტული ასაკის ბავშვის შემთხვევაში ჯანსაღად, შესაფერისად, პრობლემურად ან ძალადობრივად.

- სასურველია ადგილობრივ დონეზე უწყებათაშორისი მმართველი ჯგუფის შექმნა და საერთო ხედვის და მკაფიო სტრატეგიული მონაცემების იდენტიფიცირება, ინფორმაციის გაზიარების ჩათვლით.

- ინფორმაციის ეფექტური გაზიარება უწყებათაშორის დონეზე - მათ შორის, ახალგაზრდების დამაზიანებელი სექსუალური ქცევის შესახებ ინფორმაციის სხვა უწყებებისათვის ან დროებითი საცხოვრებელი დაწესებულებებისთვის გაზიარება

- აუცილებელია ეფექტური და დროული ადგილობრივი რეაგირების შესაქმნელად. აუცილებელია დამაზიანებელი სექსუალური ქცევის ნებისმიერი შეფასების შედეგების გაზიარება იმ უწყებებისათვის, რომლებიც პასუხისმგებლები არიან ზრუნვის/ინტერვენციის დაგეგმვის ფორმულირებაზე ან დაცვის პროცედურების შექმნაზე (ინფორმაციის გაზიარების ადგილობრივი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად).

- რეზიდენტულ სექტორში დაუყოვნებლივ უნდა დაინერგოს საერთო მიდგომა სექსუალური ძალადობის მქონე ბავშვებზე ზრუნვის, მათი შეფასების და თერაპიული ინტერვენციების კუთხით. ასევე, პრიორიტეტულია თანამშრომლების მომზადება და მათი ზედამხედველობა, ვინც მუშაობს დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებთან და ახალგაზრდებთან, რეზიდენტულ გარემოში.

# თავი 4
# ინტერვენციები

## ინტერვენციისადმი მულტი-მოდალური მიდგომა

### 4.1 არსებული მტკიცებულებებისა და ძირითადი პრობლემების მიმოხილვა

#### ინტერვენციისადმი მიდგომა

ინტერვენციები ფოკუსირებას უნდა ახდენდეს ბავშვზე და უნდა ეფუძნებოდეს სკრუპულოზურ შეფასებას. რეკომენდაციები უნდა შემუშავდეს ბავშვისა და ოჯახის საჭიროებების გათვალისწინებით და სათანადო ადგილობრივი სერვისების ხელმისაწვდომობის შესაბამისად. ეფექტური მხარდაჭერა მიმართული უნდა იყოს როგორც სექსუალური ქცევის პრობლემებისადმი, ისევე, ბავშვის ან ახალგაზრდა ადამიანის ადრეულ გამოცდილებთან დაკავშირებული ფართო საკითხებისადმი (ფსიქოლოგიური ტრავმა, არასათანადო მოპყრობის გამოცდილება, ოჯახური პრობლემები). ოჯახთან ან მზრუნველებთან ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია ბავშვების და ახალგაზრდებისათვის ცვლილებებისა და კეთილდღეობის მხარდასაჭერად.

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის შემთხვევაში, რეკომენდირებულია, რომ სპეციალისტებმა იფიქრონ შემდეგი მიდგომების გამოყენებაზე:

- კოგნიტურ ბიჰევიორალური თერაპია(CBT)
- მულტი-სისტემური თერაპია (MST)
- ფსიქოთერაპიული მიდგომები
- უნარების გაძლიერებაზე მიმართული მიდგომები
- სისტემური თერაპია (ოჯახური თერაპიის ტიპი)

გამოსახულება 3: მდგრადობაზე დაფუძნებული მოდელისა და დეფიციტური მოდელის შედარება (ადაპტირებულია Hackett, 2006)

| | ტრადიციული | მდგრადობაზე დაფუძნებული |
|---|---|---|
| ფოკუსი | შემდგომი ძალადობის პრევენცია | შემდგომი ძალადობის პრევენცია |
| ორიენტაცია | დანაშაულზე ფოკუსირება. დიაგნოზზე და კატეგორიზაციაზე ხაზგასმა. | ფოკუსირებულია კომპეტენციაზე. ხაზს უსვამს იმ ფაქტორების იდენტიფიცირებას, რომელიც გააუმჯობესებს ძლიერ მხარეებს და ფუნქციონირებას. |
| მიდგომა | ხელმძღვანელობს ექსპერტი. ახალგაზრდა აღიქმება, როგორც პრობლემურად ან პათოლოგიურად. | კოლაბორაციული, ფოკუსირდება სოციალურ და გარემოს გავლენაზე და მხარდაჭერას იჩენს ძალადობრივი ქცევის მქონე ადამიანისადმი. |
| მეთოდები | სტანდარტიზებული პროტოკოლები, რისკის შეფასების ინსტრუმენტები, ფსიქომეტრული ტესტირება. | საუბარი, ახალგაზრდის მიერ ქცევებისა და მათი მნიშვნელობის ხაზგასმა, სოციალური და გარემო ფაქტორების გავლენების ჩათვლით. |
| შედეგები | ახდენს რისკების და დეფიციტების იდენტიფიცირებას. ინტერვენციები ხაზს უსვამს რისკების შეკავებას და მართვას. | ახდენს ძირითადი ძლიერი მხარეებისა და კომპეტენციების მობილიზებას/იდენტიფიცირებას. ახალგაზრდა და ოჯახი წარმოადგენს ინტერვენციისა აქტიურ მამოძრავებელ ძალას რათა განხორციელდეს ცვლილება. |

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდების მიმართ განხორციელებული ინტერვენციები ჰოლისტურ რეაგირებას უნდა უზრუნველყოფდეს და სენსიტიური უნდა იყოს ბავშვის განვითარების ეტაპის მიმართ. ვინაიდან ინტერვენცია უნდა იყოს ბავშვზე ფოკუსირებული, მიზანშეწონილია, შესწავლილ იქნას მტკიცებულება იმაზე, თუ რა ვიცით სხვადასხვა ტიპის ბავშვებისა და ახალგაზრდების მიერ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გამოხატვაზე და მათ ოჯახებთან და თანატოლებთან კავშირებზე.

## ჩარევის კომპონენტები

ინტერვენციის კომპონენტები პირდაპირ კავშირშია ჩარევის მიზნებთან. პრაქტიკოსები თანხმდებიან, რომ დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა შემდეგ ასპექტებზე მუშაობა:

- ემოციური რეგულაციის უნარები, მათ შორის, ბრაზისა და დისტრესის მართვა
- ზოგადი განვითარების შეფასება
- სექსისა და ურთიერთობების შესახებ არსებული კოგნიტური შეცდომების შეცვლა
- პრო-სოციალურ, ემოციურ, კოგნიტურ და ქცევის უნარებზე მუშაობა
- რისკის შეფასების უნარების განვითარება

- ბავშვის/მოზარდის დამაზიანებელი სექსუალური ქცევის ციკლის/ტრაექტორიის გაგება და გაცნობიერება
- სექსუალური განათლება
- საზღვრებზე, ურთიერთობებზე, სოციალურ უნარებზე მუშაობა
- მუშაობა რეციდივის პრევენციისათვის
- ოჯახთან მუშაობა
- ძალადობის/ქცევის მოსალოდნელი შედეგების გაცნობიერება
- ემპათიის განვითარება
- ადიქტურ ქცევებზე მუშაობა

პრაქტიკოსების გამოცდილებიდან მიღებული მტკიცებულებით, ცხადი ხდება, რომ მათ მიერ დაგეგმილი ინტერვენციები მოიცავს ოჯახის მომსახურებას, საზოგადოების უსაფრთხოებაზე და ბენეფიციარის გაძლიერებაზე მიმართულ მუშაობას. ამგვარი მიზნების მიღწევამ შეიძლება გამოიწვიოს რისკების შემცირება და მთელი რიგი დამცავი ფაქტორების გაძლიერება.

მეტი შრომაა საჭირო იმის გასარკვევად ჩამოთვლილიდან რომელი კომპონენტებია საჭირო ეფექტურია ჩარევის დასაგეგმად. უნდა მოხდეს ყველა ამ კომპონენტის გაზომვა, თუმცა მათი შედეგები არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ერთ შკალაზე, არამედ როგორც ფართო ინტერვენციის ნაწილი, რომელიც მოიცავს ახალგაზრდების „მკურნალობას“, მოვლას და მართვას.

იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ოჯახიდან განცალკევებულნი არიან, მათთან მომუშავე სპეციალისტები და არა სპეციალისტები ჩართულები უნდა იყვნენ მათი კეთილდღეობის გაუმჯობესების პროცესებში.

„მკურნალობის“ ეფექტურობის შესახებ აშკარა მტკიცებულების არ არსებობის მიუხედავად, ყველა ინტერვენცია მიმართული უნდა იყოს რისკების შემცირებასა და დამცავი ფაქტორების გაზრდაზე. „მკურნალობის“ მეთოდი უნდა შეირჩეს ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით, ეს საჭიროებები უნდა იყოს შეფასებული როგორც თავდაპირველად, ასევე პროცესის მიმდინარეობისას და დასრულების შემდეგ. ეს შედეგები მოგვცემს საშუალებას განვსაზღვროთ მათი ეფექტურობა და საჭიროების შემთხვევაში შევცვალოთ ან/და დავამატოთ სხვა და სხვა კომპონენტები.

არ არსებობს კონკრეტულად ერთი მიდგომა ან ჩარევის გეგმა, რომელიც სასურველი შედეგის გარანტი იქნება. თუმცა დამაზიანებელ სექსუალურ ქცევასთან მუშაობისთვის ხშირად გამოიყენება ისეთი მიდგომები, როგორიც არის კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია(CBT) ან მულტი სისტემური თერაპია (MST).

კოგნიტურ-ბიჰევიორალური თერაპია(CBT) - მკურნალობის მოდელი, რომელშიც ახალგაზრდა ისწავლის შეუსაბამო ქცევის აღიარებას, ქცევაზე პასუხისმგებლობის აღებას, რისკების შეფასებას და ეს ყველაფერი გამოიწვევს ქცევის შეცვლას.

მულტი სისტემური თერაპია (MST) - თეორიაზე დაფუძნებული მკურნალობის მოდელი,

რომელიც უზრუნველყოფს ინტენსიურ თერაპიას 24/7-ზე. ეს მიდგომა გულისხმობს კრიზისულ დახმარებას ახალგაზრდებისთვის, მათთვის საჭირო ყველა მიმართულებით, მათ შორის ოჯახსა და განათლებაში ცვლილებების განხორციელების მიზნით.

სხვა მიდგომები გულისხმობს ფსიქო-საგანმანათლებლო, ოჯახურ სისტემაზე ან მიჯაჭვულობაზე ფოკუსირებულ მიდგომებს.

## დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე მოზარდები

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვების მსგავსად, ასეთივე ქცევის მქონე მოზარდები საკმაოდ მრავალფეროვანი ჯგუფია და ისინი განსხვავდებიან წარმომავლობის, მოტივაციის, ქცევის ტიპების, დამაზიანებელი სექსუალური ქცევის დაწყების ასაკისა და მათი სამიზნის მიხედვით.

დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე მოზარდების უმრავლესობა მამრობითი სქესისაა, იმის გათვალისწინებითაც, რომ ახალგაზრდა ქალები შეტყობინებას ნაკლებად ახორციელებენ, ხოლო ახალგაზრდა ქალებისთვის სპეციალიზებული ჩარევის პროგრამები ნაკლებად არის ხელმისაწვდომი. დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მსხვერპლთა უმრავლესობა ბავშვია და უმეტეს შემთხვევაში ისინი იცნობენ ამ პროცესში ჩართულ ახალგაზრდა ადამიანს.

კვლევების თანახმად, არსებობს ახალგაზრდებში დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გამომწვევი სამი განსხვავებული "სინდრომი", კერძოდ:

- "ძალადობა განცდილი" ახალგაზრდებს აქვთ ფიზიკური და სექსუალურ ძალადობას გამოცდილება და ისინი გასაჭირში მყოფი ახალგაზრდების კატეგორიას განეკუთვნებიან. ისინი სხვებს ზიანს აყენებენ, რაც საკუთარი ძალადობრივი გამოცდილების შედეგია.

- დელიქვენტი ახალგაზრდების "სპეციალიზაციას" არ წარმოადგენს სექსუალური დანაშაული, არამედ, მათ დამაზიანებელ სექსუალურ ქცევას სხვადასხვა დევიანტურ ქცევასთან ერთად აქვს ადგილი, როგორიცაა, მაგალითად: ქონებრივი დანაშაული, მანამდე ჩადენილი დანაშაული ადამიანის მიმართ, ანტი-სოციალური ქცევა და ხანძრის გაჩენა. ასეთი ახალგაზრდები სხვებს ზიანს აყენებენ, ზოგადად, თავიანთი დელიქვენტური პატერნების გამო.

- განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების ჯგუფი წარმოადგენს ფართო სპექტრს, რომელიც მოიცავს ემოციური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ფუნქციის დაქვეითებას (მეტყველებისა და სმენის შეზღუდვების ჩათვლით), ქცევით პრობლემებს, საგანმანათლებლო სირთულეებს, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომს და სწავლის უნარის დაქვეითებას. ამავდროულად, სპეციალისტებმა უნდა გაითვალისწინონ ერთი და იგივე ასაკის მქონე ახალგაზრდების სოციალურ-ემოციური, კოგნიტური და ფიზიკური განვითარების

განსხვავებული დონე. ამ ახალგაზრდებისათვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს სპეციალისტის შერჩევა, რომელიც მოახდენს ზოგადი ცოდნისა და მეტყველების, კომუნიკაციის დეფიციტის, აზროვნებასთან და ჩაგონებადობასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას.

## დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდები, რომელთაც აქვთ სწავლის დაქვეითებული უნარი

სწავლის დაქვეითებული უნარის მქონე ახალგაზრდა ადამიანებში დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გავრცელებასთან დაკავშირებით ინფორმირებულობა იზრდება. ჰეკეტმა და სხვებმა შეისწავლეს დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე 700,000 ახალგაზრდა და დაადგინეს, რომ 38%-ს სწავლის დაქვეითებული უნარი აღენიშნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდებს, რომელთაც სწავლის უნარის დაქვეითება აღენიშნებათ, არაერთი საერთო ნიშან-თვისება აქვთ  იმ ახალგაზრდებთან, რომელთაც ეს პრობლემა არ გააჩნიათ, თუმცა არსებობს გარკვეული განსხვავებებიც. კერძოდ, მათ მიერ მიყენებული ზიანი არის ოპორტუნისტული და იმპულსური; ისინი ნაკლებად სპეციფიურები არიან მსხვერპლის არჩევაში; ისინი დანაშაულს ძირითადად მოწყვლადი მსხვერპლების მიმართ ჩადიან და ახდენენ უფრო იმპულსური და ოპორტუნისტული ქცევის დემონსტრირებას (Fyson, 2007). დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდები, რომელთაც სწავლის დაქვეითებული უნარი აღენიშნებათ, უფრო ნაკლებად იყენებენ სექსუალურ ურთიერთობებში დაყოლიების ტექნიკებს და ნაკლებად ინფორმირებულები არიან სოციალური ნორმების და პრო-სოციალური ქცევის შესახებ  (Timms & Goreczny, 2002). სწავლის დაქვეითებული უნარის მქონე ახალგაზრდებში და ბავშვებში დამაზიანებელი სექსუალურ ქცევაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანატოლებთან ურთიერთობებისა და სექსუალური განათლების ნაკლებობა. შესაბამისად, ეს ახალგაზრდები, შესაძლოა, ვერ აცნობიერებდნენ, რომ ასეთი ქცევა არის საზიანო.

## დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდა ქალები

ინფორმაცია ახალგაზრდა ქალებში დამაზიანებელი სექსუალური ქცევის გავრცელების შესახებ მწირია, ხოლო შეტყობინების მაჩვენებელი - დაბალი.

აღქმა იმისა, რომ ახალგაზრდა ქალი ქმედება არის  საკუთარ ძალადობრივი გამოცდილების გამოხატვა და არა  სხვა ბავშვის მიმართ განზრახული ძალადობის განხორციელება, კიდევ უფრო ართულებს იმ რისკების იდენტიფიცირებას, რომელსაც ზოგიერთი ახალგაზრდა ქალი წარმოშობს დამაზიანებელი სექსუალური ქცევიდან გამომდინარე. დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ქალები, ხშირ შემთხვევაში, გადამისამართდებიან სხვადასხვა სახის სერვისებში, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისებში, ნაცვლად

სპეციალიზებული სერვისებისა (Macartan et al 2011).

ახალგაზრდა ქალებთან მუშაობისას მნიშვნელოვანია, რომ გავითვალისწინოთ მოზარდი ქალისა და მამაკაცის განვითარების პროცესში არსებული განსხვავებები და ის, თუ რა გავლენა აქვს სოციალიზაციას და სოციალურ-კულტურული ნორმების განვითარებას მათ სექსუალურ ქცევაზე. დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდა ქალების პირადი ისტორიების შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ მათ არაერთი საერთო პატერნი აქვთ ახალგაზრდა კაცებთან. ქაოსური და ძალადობრივი გარემო სახლში, მათ შორის, ოჯახური ძალადობის გამოცდილება - ეს ის საერთო პრობლემებია, რომელიც მოზარდ ქალებზე და მამაკაცებზე ახდენს გავლენას. ამავდროულად, კვლევების თანახმად, სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებული პრობლემების მქონე ქალებს შორის აღინიშნება ვიქტიმიზაციის მაღალი დონე. ისინი ძალადობას განიცდიან ადრეული ასაკიდან, ერთზე მეტი მოძალადის მხრიდან, ხოლო ძალადობა ხშირ შემთხვევაში არის ხანგრძლივი და სასტიკი. ასეთ შემთხვევებში ტრავმის შედეგად ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის განვითარების მაღალი ალბათობა არსებობს (Ford, 2006).

**კვლევის მიმოხილვის საფუძველზე, რობინსონმა (Robinson 2009) მოახდინა იმ გზების იდენტიფიცირება, რომელსაც ახალგაზრდა ქალები დამაზიანებელ სექსუალურ ქცევამდე მიყავს:**

- ადრეული მომწიფება – სექსუალიზებული ქცევა, უფროსი ასაკის მამაკაცებთან ძალადობრივი კონტაქტის შედეგად, რომლისთვისაც განვითარების დონის გათვალისწინებით ისინი არ არიან მზად;
- დეპრესია და ვიქტიმიზაცია;
- ოჯახის კრიმინალური ისტორია;
- მშობლებთან და განსაკუთრებით დედასთან ცუდი ურთიერთობა;
- მუდმივი ზრუნვის ნაკლებობა;
- გაღარიბებული თანატოლთა ქსელი;
- პორნოგრაფიის გავლენა, რომელიც დაკავშირებულია ძალადობის საკუთარ გამოცდილებასთან.

## ინტერნეტი და ახალი მედია

ბავშვებზე ინტერნეტის გავლენა მზარდია. ფართო საზრუნავის საგანს წარმოადგენს ის მასალები, რომელსაც ბავშვები და ახალგაზრდები ინტერნეტში აწყდებიან. სპეციალისტებს სულ უფრო და უფრო მეტად აშფოთებთ, რომ ბავშვებისა და ახალგაზრდების სტაბილურად მზარდ პოპულაციაში დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე გავლენას ახდენს ან ხელს უწყობს ინტერნეტსა და სოციალურ მედიაზე წვდომა.

ასეთი შემთხვევები მოიცავს როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ ასპექტებს და ითვალისწინებს

ტექნოლოგიების გამოყენებას, კონტაქტურ დამაზიანებელ სექსუალურ ქცევასთან ერთად. ტერმინი "ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი დამაზიანებელი სექსუალური ქცევა" აღნიშნავს იმ აქტივობებისა და ფორმების ფართო სპექტრს, რომელსაც ამ ტიპის ძალადობა ითვალისწინებს. ხოლო, ტერმინი "ონლაინ დამაზიანებელი სექსუალური ქცევა" - მსხვერპლთან პირდაპირ კონტაქტს არ გულისხმობს. "ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი დამაზიანებელი სექსუალური ქცევა" სპეციალისტებს არაერთ კითხვას უჩენს - მაგალითად: რამდენად არის ეს ქცევა ნორმალური, ექსპლუატაციური სექსუალური ქცევა, განსაკუთრებით მაშინ, თუ იგი თანატოლებს უკავშირდება? რა როლს თამაშობს ონლაინ ქცევა კონტაქტურ დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაში? რა ფაქტორები ზრდის ინტერნეტში დანაშაულის ჩადენის ალბათობას?

კვლევების თანახმად, ბავშვებისა და ახალგაზრდების დაახლოებითი 20%-50%-ს ინტერნეტში პორნოგრაფიასთან შეხება ჰქონიათ 16 წლის ასაკამდე. ეს მაჩვენებელი უფრო მაღალია უფროსი ასაკის მოზარდებისა და მამრობითი სქესის წარმომადგენლების შემთხვევაში (Mascheroni and Olafsson, 2014). კვლევები ხაზს უსვამს აღნიშნულის ნეგატიურ გავლენას ემოციებზე და მიუთითებს, რომ შოკისა და დაბნეულობის თავდაპირველი გრძნობები იფანტება და დროთა განმავლობაში ახალგაზრდებს ონლაინ პორნოგრაფიის კონტენტის მიმართ მგრძნობელობა უმცირდებათ (Martellozzo et al., 2016).

შეფასების დროს სერიოზულად უნდა იქნას მიღებული და განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს პორნოგრაფიის გამოყენებაზე. რაც უფრო ადრეულ ასაკში იწყება პორნოგრაფიაზე წვდომა, მით უფრო შემაშფოთებელია ეს, განსაკუთრებით მაშინ თუ ეს 13 წლამდე ასაკის ბავშვებში ხდება. ეს გამოცდილება დიდ გავლენას ახდენს სათანადო სექსუალური ცოდნაზე, ექსპოზიციასა და განვითარებაზე. ადრეული ასაკიდან პორნოგრაფიის ყურება საფრთხეს უქმნის ახალგაზრდებს/ბავშვებს და უნდა ვიზრუნოთ მათი დაცვის საკითხებზე. გათვალისწინებული უნდა იქნას, თუ რამ/ვინ იქონია ამაზე გავლენა და ასევე, ბავშვის/ახალგაზრდის ზედამხედველობის დონე.

## დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე რეაგირირების აღდგნითი მიდგომა

აღდგენით მართლმსაჯულებას შეუძლია დამატებითი შესაძლებლობა შესძინოს დამნაშავეებთან, სექსუალური ძალადობის შედეგად დაზარალებულ მსხვერპლებთან და თემთან მუშაობას. არსებობს მზარდი მტკიცებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ მსხვერპლისათვის სარგებელი მოაქვს "კომპლექსურ და სენსიტიურ აღდგენით მართლმსაჯულებას" და აღიარებულია, რომ აღდგენითი მიდგომა ზრდის დამაზიანებელ სექსუალურ ქცევაზე რეაგირების იმ მიდგომის ეფექტურობას, რომელიც ფოკუსირებულია დანაშაულის შეწყვეტის განმტკიცებაზე და დამნაშავის სოციალურ ეკოლოგიაში ფართო ჩართულობაზე.

არსებობს გარკვეული მტკიცებულება, რომ საჭიროა სიფრთხილით გამოვიყენოთ აღდგენითი მართლმსაჯულება იმ ბავშვთა და ახალგაზრდების ზოგიერთ ჯგუფში, რომელიც ხასიათდება დამაზიანებელი სექსუალური ქცევით და მათ შორის, სწავლის უნარის დაქვეითებით (განსაკუთრებით, მეტყველებისა დაქვეითების და მიღებისა და

გამოხატვის პრობლემების მქონე) ბავშვებისა და ახალგაზრდებთან.

## ძირითადი პრინციპები

- ბავშვების, ახალგაზრდების და მათი ოჯახების მრავალფეროვან ჯგუფთან სამუშაოდ საჭიროა ვიცოდეთ:
  - სექსუალურად ძალადობრივი ქმედების მქონე მოზარდთა უმრავლესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია.
  - ძალადობრივი სექსუალური ქმედებების მქონე გოგონები განსაკუთრებით დისფუნქციური ოჯახებიდან არიან და მათ ჯგუფში სექსუალური ვიქტიმიზაციისა და სხვა ძალადობის მაღალი დონე აღინიშნება.
  - სწავლის უნარის დაქვეითების მქონე ახალგაზრდები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან და მათი რაოდენობა დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ახალგაზრდების ჯგუფში საკმაოდ მაღალია.

- დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე მოზარდებსა და ახალგაზრდებს, რომლებიც სხვადასხვა სირთულეებს განიცდიან, ბევრი საერთო თვისება აქვთ. მნიშვნელოვანია რეაგირება, როგორც დამაზიანებელ სექსუალურ ქცევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ისე ახალგაზრდების ფართო პრობლემებზე; უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი, პირველ რიგში, ახალგაზრდები არიან და შემდეგ, "სექსუალური მოძალადეები".

- რეაგირება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების განვითარების დონეს, და უნდა იყოს მათი საჭიროებებისა და რისკების პროპორციული. მათი სექსუალური ქცევის მიღმა არ უნდა გამოგვრჩეს ზოგადად, ბავშვის ფუნქციონირების საკითხები.

- ინტერვენციები ბავშვისა და ოჯახის კონკრეტულ საჭიროებებზე უნდა იქნას მორგებული, ნაცვლად სტანდარტული ინტერვენციებისა.

- საერთო ჯამში, ინტერვენციები უნდა იყოს:
  - მტკიცებულებაზე დაფუძნებული
  - ჰოლისტური
  - მულტი მოდალური
  - გაძლიერებაზე მიმართული და მხარდაჭერითი
  - პროპორციული
  - მრავალ დონიანი
  - ფოკუსირებული მდგრადობაზე – უწყებათაშორისი.

- საჭიროა პირველადი, მეორეული და მესამეული პრევენციული მიდგომები. ყველაზე შესაფერის მიდგომას წარმოადგენს ინტერვენციის მრავალ დონიანი მიდგომა, რომელიც ერთმანეთისაგან განარჩევს შემდეგი კატეგორიის ბავშვებსა და ახალგაზრდებს: მათ, ვისი საჭიროებაც შესაძლოა, დაკმაყოფილდეს მშობლების

მონიტორინგით; მათ, ვისაც შეზღუდული ფსიქო-საგანმანათლებლო მხარდაჭერა სჭირდებათ და მათ, ვისაც სარგებელს მოუტანს სპეციალიზებული სერვისები.

- რისკის შემცირებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის პროცესში, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არ მოხდეს ბავშვებსა და ახალგაზრდებზე „იარლიყის მიწებება" და მათი სტიგმატიზება.

- ფიზიკურ და ციფრულ სამყაროებს შორის საზღვარი სულ უფრო და უფრო იშლება. შესაბამისად, განათლება არის უაღრესად მნიშვნელოვანი. ტექნოლოგიურად მხარდაჭერილი დამაზიანებელი სექსუალური ქცევა, შესაძლოა აერთიანებდეს სხვადასხვა ასპექტებს, როგორც ინტერნეტში, ისე მის გარეთ და მოიცავდეს ტექნოლოგიის გამოყენებას დამაზიანებელ სექსუალურ ქცევასთან ერთად. მშობლებს, მზრუნველებს და მასწავლებლებს არ უნდა ეშინოდეთ ახალგაზრდებთან ინტერნეტში მათ სექსუალურ აქტივობებზე საუბარი.

- ოჯახზე დაკისრებული მოთხოვნების ჭრილში, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, შეფასდეს მშობლის შესაძლებლობები, რათა დაიცვას ბავშვი, მართოს უსაფრთხოების გეგმა და დააკმაყოფილოს ბავშვის საჭიროებები.

# თავი 5

# სხვა დაკავშირებული საკითხები

## 5.1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება და მოზარდთა განვითარება

### მოზარდის განვითარება

ბავშვებთან მომუშავე ყველა სპეციალისტს არ მოეთხოვება, რომ იყოს ექპერტები ფსიქოლოგიაში, საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა მიმართონ დახმარებისთვის შესაბამის პროფესიონალს. მაგრამ, იმისთვის, რომ ეფექტურად განსაზღვრონ ბავშვების უფლებები და საჭიროებები, მათ აუცილებელია უნდა ჰქონდეთ შესაბამისი ცოდნა ბავშვების და მოზარდების ფსიქოლოგიური განვითარების შესახებ. ეს ცოდნა მათ დაეხმარებათ ბავშვებთან და ახალგაზრდებთან ეფექტური კომუნიკაციის ჩამოყალიბებაში, მათი საჭიროებების უკეთესად განსაზღვრაში და მათი ქცევის უკეთ გაგებაში.

”ბავშვის” სამართლებრივი განსაზღვრება თითქმის ყოველთვის განსხვავდება იმისგან, თუ როგორ იყენებენ ამ ტერმინს ფსიქოლოგები.

- ზოგადად, განვითარების ფსიქოლოგიაში "ბავშვად" მოიაზრება ადამიანი, ჩასახვიდან დაახლოებით 10 წლის ასაკამდე. მოზარდობის ეტაპი იწყება 10-დან 13 წლამდე და მთავრდება 18-დან 22 წლისთვის. გარდა ამისა, შეიძლება განვასხვავოთ ადრეული და გვიანი მოზარდობა. ეს უკანასკნელი იწყება 15 წლის ასაკიდან.[1]

- სამართლებრივად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური (MACR) და ზედა ასაკობრივი ზღვარი განსაზღვრავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის გამოყენებას. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძალიან განსხვავდება სხვადასხვა ქვეყანაში და მერყეობს შვიდიდან თვრამეტ წლამდე.

ეს თავი მოკლედ მიმოიხილავს მოზარდთა კოგნიტურ და ემოციურ განვითარების ეტაპებს და განმარტავს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ყველაზე გავრცელებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემებს.

[1] სანტროკი, 2007.

**მოკლე შეჯამება**

- ფსიქოლოგიური მახასიათებლები და განვითარების დონე შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს თითოეული ბავშვის შემთხვევაში, თუნდაც ისინი ერთი და იგივე ასაკის იყვნენ.
- ბავშვის განვითარების ეტაპი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რამდენად შეუძლია მას გააცნობიეროს სამართალწარმოება და მისი ურთიერთობა სახელმწიფოსთან.
- ახალგაზრდების უმრავლესობისთვის, დელიქვენტური ქცევა ერთ-ერთი ფაზაა, მასზე შესაძლოა გავლენა იქონიოს ფსიქოლოგიურმა და განვითარების ასპექტებმა, რაც მოზარდებში ძალზე ხშირია. ასაკის მატებასთან ერთად მოზარდები ამცირებენ კრიმინალურ ქცევას.
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მეტად გავრცელებულია იმ ბავშვებში, რომლებიც იმყოფებიან კანონთან კონფლიქტში.
- არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მრავლად არის წარმოდგენილი ენისა და ინტელექტუალური უნარების შეზღუდვის მქონე მოზარდები.

## მოზარდის განვითარება და არასრულწლოვანთა სამართალწარმოების გაცნობიერება

მოზარდობის ფაზა გავლენას ახდენს ახალგაზრდების სისხლის სამართლის პროცესისა და პროცედურების გაგებაზე. კვლევებმა აჩვენეს, რომ 12-13 წლის ასაკამდე ბავშვები აღიქვამენ პასუხისმგებლობას მხოლოდ მათ გარემოში (ნაცნობი უფლებამოსილების მქონე პირების მიმართ, როგორიცაა მათი ოჯახი, პედაგოგები, მეზობლები და ა.შ.), და არა ფართო საზოგადოებაში.

მართლმსაჯულების სისტემის ბუნებისა და მიზნის სრულყოფილი გაგება მოითხოვს აბსტრაქტული აზროვნების უნარს, რაც მხოლოდ 14 წლის ასაკიდან ვითარდება. მანამდე ბავშვები ვერ იაზრებენ იურიდიულ პროცედურებს, როგორც ლეგიტიმურს, ან ადექვატურად ვერ აღიქვამენ საკუთარ ადგილს ფართო სოციალური სისტემაში სისტემის ნაწილად[2].

მოზარდობის პერიოდში, უმჯობესდება აბსტრაქტული მსჯელობის უნარი, ხდება მეტი ცოდნისა და ცხოვრებისეული გამოცდილების დაგროვება. მოზარდებზე ჩატარებული კვლევები, რომლებიც იკვლევდნენ სისხლის სამართლის პროცესის გაგებას აჩვენებს, რომ 14 წლამდე ასაკის მოზარდები უფრო ნაკლებ სავარაუდოა, რომ ფლობდნენ ინფორმაციას სასამართლო პროცესებთან დაკავშირებით, ვიდრე მათზე უფროსი მოზარდები.[3] 16-17 წლის მოზრდილების შესაძლებლობები თითქმის ისეთივეა, როგორიც ახალგაზრდების (18-24

[2] ბაში, 2000.
[3] გრისსო,, 2000.

წელი)[4]. ამიტომ, 14 წლის შემდეგ მოზარდებს, უფრო მეტად შეუძლიათ იმის გაგება, თუ რას ნიშნავს მოსამართლის წინაშე წარდგენა.

ცალკეული ბავშვის განვითარების სიმწიფეს შორის დიდი განსხვავებებია. ზოგიერთი ბავშვი ფიზიკურად, კოგნიტურად, ემოციურად ან მორალურად ჩამორჩება ან წინ უსწრებს სხვებს განვითარებით. ტემპი, რომლითაც 14-18 წლამდე ასაკის ახალგაზრდები ვითარდებიან, მნიშვნელოვნად განსხვავდება ინდივიდებში.

სასამართლო პროცესთან დაკავშირებული ცოდნა (მაგალითად, იურიდიული ტერმინების და მართლმსაჯულების სისტემის მონაწილე სხვადასხვა პირების როლების გაგება) ბავშვებში მატულობს ასაკთან ერთად, საქმის წარმოების გაგებაში ასევე დიდ როლს თამაშობს ბავშვის ინტელექტი.[5]

## მოზარდის განვითარება და არასრულწლოვანთა დანაშაული

ცნობილია, რომ მოზარდობის პერიოდში დელიქვენტური ქცევის გავრცელება იზრდება. დანაშაულის მაჩვენებელი პიკს აღწევს 15-19 წლის ასაკში და შემდეგ იკლებს 20 წლის ასაკისთვის. ამას ეწოდება "ასაკობრივი დანაშაულის მრუდი". იგივე ტენდენცია გვხვდება დასავლეთის ყველა პოპულაციაში. კვლევების თანახმად, არასრულწლოვან მსჯავრდებულთა 40-60% წყვეტს შეურაცხმყოფელ ქცევას ადრეულ ზრდასრულ ასაკში [6].

მოზარდის განვითარების სხვადასხვა ასპექტების გააზრება და ბავშვების ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესწავლა შეიძლება დაეხმაროს ამ სფეროში მომუშავე სპეციალისტებს გაიღრმავონ ცოდნა მოზარდების აზროვნების, მათი ქცევის მიზეზების შესახებ და ასევე დაეხმარონ მათ კომუნიკაციაში.

## კოგნიტური განვითარება

მოზარდობის პერიოდში ინტელექტუალური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად ვითარდება. მოზარდებს საშუალება აქვთ ბავშვებთან შედარებით უფრო მოწინავე, აბსტრაქტული და ეფექტური გზით იფიქრონ. ლოგიკური მსჯელობის უნარი თანდათანობით იზრდება 11-დან 16 წლამდე. პიროვნების ფორმალური ინტელექტუალური შესაძლებლობები (მაგალითად, IQ) მნიშვნელოვნად არ იცვლება 16-18 წლის ასაკის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ინტელექტის კოეფიციენტი არ იცვლება მნიშვნელოვნად 18 წლის შემდეგ, მოზარდებში მსჯელობის უნარი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული იმავე დონეზე, როგორც მოზრდილებში (22 წლის და მეტი ასაკის). მოზარდებს აქვთ ნაკლები ცხოვრებისეული გამოცდილება და, შესაბამისად, ნაკლები ცოდნა, თუ რას უნდა მიაქციონ ყურადღება გადაწყვეტილებების მიღებისას. ემოციური და სოციალური უნარების ნაკლები განვითარების გამო ისინი განსხვავდებიან განსჯის უნარით [7].

---

[4] გრისსო, და სხვები, 2003.
[5] გრისსო, 2000
[6] ლოებერი, ფარიგნტონი და პერტერჩუკი, 2013.
[7] ლოებერი და სხვები et al., 2015; სკოტი და შტაინბერგი, 2008; შტაინბერგი და შვარცი, 2000.

ასევე განსხვავდება მოზარდებისა და ზრდასრულების  გადაწყვეტილების მიღების უნარი. თავის ტვინის უმაღლესი  ფუნქციები (დაგეგმვა, ვერბალური მეხსიერება და იმპულსების კონტროლი) უფრო ნელა ვითარდება და სრულად 25 წლის ასაკისთვის ყალიბდება.[8] მოზარდების ფსიქოლოგიური მოუმწიფებლობა ასევე გავლენას ახდენს მათი გადაწყვეტილების მიღების უნარზე. მიუხედავად იმისა, რომ მოზარდების შემეცნებითი შესაძლებლობები ჩამოყალიბებულია, მათი გადაწყვეტილების მიღების უნარი შეიძლება არ იყოს სრულად განვითარებული [9].

## სარისკო ქცევა

- მოზარდები ხასიათდებიან სარისკო ქცევით, როგორებიცაა: ფსიქო-აქტიური ნივთიერებების  ავად მოხმარება, ძალადობა, საგზაო წესების დარღვევა, სარისკო სექსუალური ქცევა და ა.შ[10]. მოზარდებს უჭირთ რისკების შეფასება. ისინი ხშირად აკეთებენ ისეთ რაღაცებს, რაც იციან რომ საშიში ან აკრძალულია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისინი იმყოფებიან ამაღელვებელ სიტუაციაში და განიცდიან ზეწოლას თანატოლების მხრიდან, ამ ყველაფრის ფონზე მათ მიერ მდგომარეობის სწორი შეფასების უნარი მცირდება[11].

ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, რომ რისკის შემცველი ქმედებები ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ევოლუციური ქცევაა. მოზარდობის პერიოდში ადამიანები უფრო დამოუკიდებლები ხდებიან თავიანთი მშობლებისგან. რისკის გაწევა, გარემოს შესწავლა, მეგობრობის შეძენა და მათთან დროის გატარება, მოზარდებს ეხმარება გახდნენ უფრო დამოუკიდებლები და ჩამოაყალიბონ საკუთარი იდენტობა [12].

## პერსპექტივების აღქმა და იმპულსების კონტროლი

კვლევების თანახმად, მოზარდები უფრო მეტად რისკავენ არა იმის გამო, რომ ვერ აღიქვამენ რისკებს, არამედ იმიტომ, რომ ისინი არასათანადოდ აფასებენ იმ რისკს, რომელიც შეიძლება მოჰყვეს გარკვეულ ქცევას, განსაკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში. უფრო დიდი ასაკის მოზარდები უკეთესად აფასებენ რისკებს და შეუძლიათ დაინახონ სხვადასხვა ქცევის შედეგები[13]. ქცევის მოკლევადიანი და გრძელვადიანი შედეგების განჭვრეტის შესაძლებლობა თანდათან იზრდება ბავშვობასა და ზრდასრულ ასაკებს შორის [14].

სარისკო ქმედებებში მონაწილეობის კიდევ ერთი ახსნა, იმპულსურობის კონტროლის

[8] ლობერი და სხვები, 2015.
[9] სკოტი და შტაინბერგი, 2008;  შტაინბერგი & სკოტი, 2003.
[10] შტაინბერგი, 1999.
[11] შტაინბერგი და კაუფმანი, 1996.
[12] სერკომე, 2014.
[13] Greene et al., 2000; Schmidt et al., 2003; შტაინბერგი და კაუფმანი , 1996; Steinberg & Scott, 2003.
[14] შტაინბერგი და კაუფმანი 1996.

ნაკლებობაა, რაც დამახასიათებელია მოზარდებისთვის[15]. იმპულსურობა თანდათანობით იკლებს 30 წლის ასაკისთვის. მძაფრი შეგრძნებების ძიება განსაკუთრებით იმატებს 10 დან 15 წლამდე (მაგალითად: ამაღლვებელი შეგრძნებებისა და თავგადასავლების ძიება, კონფორმისტულ აქტივობებში ჩართვა, როგორიცაა ბანჯი-ჯამფინგი ან დანაშაულებრივი აქტები)[16]. მოზარდობის მეორე ნახევარში მომხდარი ჰორმონალური და ფიზიოლოგიური ცვლილებები ნაწილობრივ ხსნიან მოზარდთა და ახალგაზრდა ზრდასრულთა არასაკმარისი კონტროლის და სისტემური ქცევის ნაკლებობას[17]. ნეირობიოლოგიის თანახმად, მოზარდის ტვინის სხვადასხვა უბნები ვითარდება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, რაც იწვევს ასიმეტრიას ტვინის სხვადასხვა სისტემას შორის.

## თანატოლების ზეწოლაზე მგრძნობელობა:

მოზარდის განვითარების მეორე მახასიათებელი არის თანატოლების ზეწოლაზე მგრძნობელობა. მოზარდობის პერიოდში, ადამიანი გამოხატავს თანატოლებთან ურთიერთობის მოჭარბებულ ინტერესს[18]. უფრო მეტიც, მცირეწლოვან ბავშვებთან და უფროსებთან შედარებით, მოზარდები უფრო დაუცველები არიან თანატოლთა ჯგუფის მიერ განხორციელებული ზეწოლის მიმართ [19]. თანატოლთა მიერ მათ "მიღებას" ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს[20]. დაახლოებით 8 წლის ასაკიდან ბავშვები უფრო მეტად ცდილობენ ურთიერთობას თანატოლებთან, ვიდრე მოზრდილებთან[21]. ზეწოლისადმი მგრძნობელობა პიკს აღწევს 12-16 წლის ასაკში და შემდეგ თანდათანობით მცირდება[22].

თანატოლების მხრიდან ზეწოლას ასევე შეიძლება კავშირი ჰქონდეს რისკის შემცველ ქმედებებთან. თანატოლთა ზეწოლამ შეიძლება დიდი გავლენა იქონიოს მოზარდის სარისკო გადაწყვეტილებების მიღებაზე, განსხვავებით ბავშვებისა და მოზრდილებისაგან[23]. ხშირი სარისკო ქცევა, არ არის მხოლოდ მეგობრებთან უფრო მეტი დროის გატარების შედეგი, ამ ქცევის ინტენსივობაში დიდ როლს თამაშობს თანატოლებისგან ზეწოლისა და წინააღმდეგობის გაწევის უუნარობა და ისეთი ჯილდოების მიმართ მგრძნობელობა, როგორიცაა თანატოლების მიერ აღიარება[24]. კვლევებმა აჩვენეს, რომ თანატოლების მიერ აღიარების სურვილი მაღალ კორელაციაშია ანტისოციალურ ქცევასთან, განსაკუთრებით კი ბიჭებს შორის[25].

კვლევებმა აჩვენეს, რომ მოზარდები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან საკუთარი

---

[15] შტაინბერგი და კაუფმანი 1996
[16] Steinberg, 2011.
[17] შტაინბერგი და შვარცი, , 1996; Steinberg & Scott, 2003.
[18] Steinberg, 2011.
[19] Steinberg & Scott, 2003.
[20] კროუნი და დალი, 2012.
[21] დელფოს, 2004.
[22] სკოტი და შტაინბერგი, 2008; შტაინბერგი და კაუფმანი,, 1996.
[23] შტაინბერგი, 2011.
[24] გარდნერი და შტაინებრგი, 2005
[25] შტაინბერგი 2011.

ასაკობრივი ჯგუფის შეხედულებების მიმართ[26]. თანატოლებისგან გარიყვის შიში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს მოზარდის გადაწყვეტილების მიღებაში[27].

## ემოციური განვითარება

- ავტონომიურობა

მოზარდების ემოციური განვითარების უმთავრესი შედეგია ავტონომიურობისა ან დამოუკიდებლობის შეგრძნების ჩამოყალიბება[28]. ბავშვობის პერიოდში მშობლებისადმი დამოკიდებულება და მათი მხრიდან ნებართვის მიღება არის ბავშვის ქცევის მთავარი სახელმძღვანელო. 10-11 წლის ასაკის ბავშვებს მოსწონთ, როდესაც ასიამოვნებენ მშობლებს და სხვა ზრდასრულებს. ადრეული მოზარდობის ასაკში ინდივიდები აქტიურად ეწინააღმდეგებიან თავიანთ მშობლებს და იწყებენ გამიჯვნას. ავტონომიურობის შეგრძნობის გაჩენა გამოიხატება მშობლებისა და სხვა ზრდასრულების სურვილებისა და რჩევის წინააღმდეგ წასვლით, როგორც საკუთარი დამოუკიდებლობის დამტკიცების საშუალება. მოზარდების გადაწყვეტილებები ხშირად არ არის გონივრული, რადგან ამ გადაწყვეტილებების მიზანი მხოლოდ მშობლების სურვილების წინააღმდეგ წასვლაა.

ემოციური ავტონომიურობა იზრდება მთელი მოზარდობის პერიოდში. მოზარდები თავიანთი თანატოლებთან ამყარებენ მჭიდრო ურთიერთობებს და ცდილობენ მშობლებისგან განცალკევებას. გვიან მოზარდობის პერიოდში ინდივიდუალიზაციის პროცესი უმეტესად დასრულებულია და მოზარდები მშობლებისა და თანატოლებისგან უფრო ავტონომიურები არიან[29]. მოზარდობის პერიოდში ასევე იზრდება თვითშემეცნება და ახალგაზრდებს უფრო უკეთ შეუძლიათ რეციპროკული ურთიერთობების დამყარება სხვა ადამიანებთან. თანდათან მცირდება ეგოცენტრიზმი და შედეგად, მოზარდებს უკეთ შეუძლიათ დაინახონ თავიანთი ქცევის შედეგები (მათ შორის გრძელვადიანი).

- იდენტობა

იდენტობა ვითარდება  მოგვიანებით, მოზარდობის პერიოდში, გვიანი მოზარდობიდან ოციანი წლების დასაწყისში. საკუთარი პიროვნების თანმიმდევრული სურათი და იდენტობა არ ყალიბდება მოზარდობის დასრულებამდე. მოზარდები, რომლებმაც მიაღწიეს იდენტობის შეგრძნებას, აქვთ უკეთესი განსჯის უნარი, ავლენენ უფრო მეტ არეკვლადობას და შესწევთ უნარი უკეთესად გააკეთონ მიზანმიმართული არჩევანი თავიანთ საგანმანათლებლო ან პროფესიულ კარიერასთან დაკავშირებით.

მოზარდები, რომლებიც ჯერ კიდევ თავიანთი იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში არიან, ხასიათდებიან კონფლიქტურობითა და მაღალი შფოთვით[30]. ექსპერიმენტირების ეს პერიოდი

[26] შტაინბერგი, 1999.
[27] კნოლი და სხვები, 2015.
[28] შტაინბერგი და შვარცი,, 2000.
[29] შტაინბერგი და კაუფმანი, 1996; შტაინბერგი და შვარცი, 2000.
[30] შტაინბერგი და კაუფმანი, 1996; შტაინბერგი და შვარცი, 2000.

გადის, როდესაც ინდივიდის იდენტობა უფრო დამკვიდრდება. დანაშაულებრივი ქცევა მოზარდების უმეტესობისთვის გარდამავალი ეტაპია.

განვითარებული იდენტობის გრძნობასთან დაკავშირებული უნარები მოიცავს ინტერ პერსონალური ურთიერთობების ჩამოყალიბების უნარს, საკუთარ ქცევაზე პასუხისმგებლობის აღებას და მორალური მსჯელობის უფრო მაღალ დონეს. ეს უნარები ასევე კავშირშია განსხვავებული აზრის მიღების შესაძლებლობასთან, რაც ვითარდება 16 წლის ასაკამდე[31].

## ფსიქიკური ჯანმრთელობა

ახალგაზრდების უმეტესობა სარისკო ან თუნდაც დანაშაულებრივ ქცევას ამჟღავნებს, როგორც მოზარდის ნორმალური ქცევის ნაწილს, თუმცა ახალგაზრდა დამნაშავეები მთელი რიგი პრობლემების რისკის წინაშე იმყოფებიან.[32] ინდივიდუალურ დონეზე, თავს იჩენს ისეთი პრობლემები, როგორებიცაა: განვითარების შეფერხება, ინტელექტუალური დეფიციტი, სწავლის უნარის შეზღუდვა და ემოციური დარღვევები, ხოლო ფართო საზოგადოების დონეზე ხშირია ქუჩის ძალადობა, ვიქტიმიზაცია, პრობლემები საცხოვრებელ ადგილას და მის გარეთ, სკოლის გაცდენა და ნივთიერებების ავად მოხმარება.[33]

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები უფრო მეტად გვხვდება კანონთან კონფლიქტში მყოფ ახალგაზრდებში და განსაკუთრებით მათთან, ვისაც შეეზღუდა თავისუფლება განსხვავებით იმ მოზარდებისა, რომელთაც არ ჰქონიათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის გამოცდილება. მოწყვლად ჯგუფებზე ჩატარებულმა კვლევებმა, მათ შორის არასრულწლოვნებზე, რომლებიც იმყოფებიან არასრულწლოვანთა დაწესებულებებში და ასევე მოზარდებზე, რომელთაც დაბალი ინტელექტი აქვთ, აჩვენეს, რომ ორივე ჯგუფს უფრო ხანგრძლივი კრიმინალური ისტორია აქვთ და უფრო ხშირად არიან ნასამართლევნი, ვიდრე სხვა ჯგუფების არასრულწლოვნები[34].

რამდენიმე ფსიქიკური აშლილობა მოიცავს გონებრივ შეზღუდულ შესაძლებლობებს, მათ შორის კოგნიტურ იმპულსურობას. კოგნიტური იმპულსურობა გულისხმობს: გადაწყვეტილებების დაუფიქრებლად და სწრაფად მიღებას და მათი მიხედვით მოქმედებას. მოზარდები, რომლებიც ასეთ ქცევას ავლენენ, უფრო ხშირად ხვდებიან პატიმრობაში.[35]

- ყურადღების დეფიციტი და ჰიპერაქტიურობის სინდრომი (ADHD) - შეიძლება გამოიწვიოს იმპულსურობამ, რაც დაკავშირებულია დანაშაულებრივ ქცევასთან. ADHD ხშირად თან ახლავს ქცევის დარღვევას.
- ქცევითი აშლილობის სიმპტომები გულისხმობს აგრესიას ადამიანებისა და ცხოველების მიმართ, ქონების განადგურებას, სიცრუეს, ქურდობას და წესების

[31] შტაინბერგი და კაუფმანი, 1996.
[32] ვაიჯერსი და გრისსო, 2009.
[33] ტენ ბრუმელაარი და კალვერბოერი, 2011; ვან დომბორო და სხვები, 2009; გრისსო, 2000.
[34] ბიჯლეველდი და სხვები , 2012
[35] ლოებერი და სხვები., 2015.

სერიოზულ დარღვევას. ეს შეიძლება გადაიზარდოს ანტისოციალურ პიროვნულ აშლილობად.

- ანტისოციალურ პიროვნულ აშლილობას, ახასიათებს სოციალური ნორმების დაცვის უუნარობა, სიცრუე, იმპულსურობა, გაღიზიანება, აგრესიულობა და სინანულის ან თანაგრძნობის ნაკლებობა.

- ემპათიის ნაკლებობა ხშირია აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ახალგაზრდა დამნაშავეებში, რომლებიც ხასიათდებიან სოციალური კომუნიკაციისა და ინტერაქციის მუდმივი დეფიციტით, რაც გამოიხატება სოციალურ-ემოციური რეციპროკულობის (საპასუხო დათმობა) პრობლემებში. ახალგაზრდებს, რომლებიც მუდმივად სჩადიან დანაშაულს განსაკუთრებით ისეთ დანაშაულს, რომლებიც იწვევს პიროვნების დაზიანებას - ნაკლებად აქვთ განვითარებული ემპათიის უნარი. ემპათია ამცირებს გარკვეული სახის დანაშაულის ალბათობას, ხოლო თანაგრძნობის ნაკლებობა ითვლება დანაშაულებრივი ქმედების ხელშემწყობ ფაქტორად[36].

- გარდა ამისა, არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს შორის უფრო მაღალია ნარკოტიკების და ალკოჰოლის მოხმარების დონე. კვლევები აჩვენებს, რომ ნარკოტიკების ან ალკოჰოლის ხშირი მოხმარება იწვევს განვითარების შეფერხებებს და შეფერხებას ფსიქო სოციალურ მომწიფებაში[37].

## სწავლისა და კომუნიკაციის სირთულეები

ლინგვისტურმა პრობლემებმა და შეზღუდულმა ინტელექტუალურმა შესაძლებლობებმა შეიძლება მნიშვნელოვნად შეუშალოს ხელი ბავშვთან კომუნიკაციას და სერიოზული ზიანი მიაყენოს მას. ამასთან, ეს შეზღუდვები ხშირ შემთხვევაში არ არის დიაგნოზირებული და უჩინარია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალებისთვის.

- ენობრივი სირთულეები

კომუნიკაციის პროცესში ყოველთვის ჩართულია შეტყობინების გამგზავნი და მიმღები პირი. მათ მოეთხოვებათ კოდირებას (შეტყობინებების გაგზავნა გასაგები ფორმით) და დეკოდირება (მიღება და აღქმა). ენობრივი დარღვევები გულისხმობს პრობლემებს კომუნიკაციის ენის გაგებასა და გამოყენებაში. როგორც წესი, ენისა და მეტყველების დარღვევები მიუთითებს აზროვნებისა და დასწავლის პრობლემებზე, რადგან ენის შესწავლა შემეცნებითი უნარია. ენისა და კომუნიკაციის პრობლემები სოციალურ ინტერაქციასა და ურთიერთობებში არის ძირითადი პრობლემა ემოციური და ქცევითი დარღვევების დროს, მაგალითად, სოციალური გამიჯვნისას ან აგრესიული ქცევისას. ეს ნიშნავს, რომ ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ADHD, ქცევის დარღვევა ან დეპრესია, შესაძლოა ასევე

[36] ჯოლლიფფე და ფარინგტონი, 2004.

[37] ლოებერი და სხვები 2015.

განიცდიდნენ ენობრივ პრობლემებს[38].

კვლევებმა აჩვენა, რომ ლინგვისტური და კომუნიკაციის სირთულის მქონე ბავშვებს ნაკლებად აქვთ თანმიმდევრული და ქრონოლოგიური თხრობის უნარი. უფრო მეტიც, ხშირად კონკრეტულ დეტალები  საერთოდ არ არის ნახსენები მათ ისტორიებში. იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუერმა არ იცის ბავშვის ენობრივი სირთულეები, ბავშვის მონათხრობი შეიძლება არასწორად იქნეს განმარტებული, არ ჩაითვალოს სანდოდ ან საერთოდ არ მიენიჭოს მნიშვნელობა[39]. ბავშვებს ყოველთვის არ შესწევთ უნარი შეამჩნიონ ის, რომ სხვა ადამიანებს არ ესმით მათი მონათხრობი და ხშირად ისინი ვერ ახერხებენ გააქარწყლონ მათ მიერ გამოწვეული დაბნეულობა. იურისტებმა შესაბამის ორგანოებს უნდა აცნობოს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ლინგვისტური სირთულეების შესახებ და გაითვალისწინონ ის დამატებითი სირთულეები, რაც შეიძლება ამას მოჰყვეს. იურისტის უნარი - შეამჩნიოს ბავშვის ლინგვისტური სირთულეები, ხშირად მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს თავდაცვის ხარისხს[40].

ორი სპეციფიკური მდგომარეობა უკავშირდება კომუნიკაციის სირთულეებს: შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები და აუტიზმის სპექტრის აშლილობა (ASD). ეს საკითხები განხილული იქნება შემდეგ თავებში.

- ინტელექტუალური შეზღუდვა

დაბალი ინტელექტის კოეფიციენტის მქონე ახალგაზრდებს, უფრო მეტი ალბათობით, აქვთ დანაშაულის ჩადენის პერსპექტივა და აქვთ უფრო ხანგრძლივი კრიმინალური კარიერა, ვიდრე ახალგაზრდებს საშუალო ან მაღალი ინტელექტის კოეფიციენტით.[41]

დაბალი ინტელექტის კოეფიციენტი ასევე იჩენს თავს სხვა პრობლემების შემთხვევაშიც. ხშირად, დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანებს აქვთ ფსიქიკური  აშლილობები და ქცევის პრობლემები. გარდა ამისა, ასეთ ახალგაზრდებს ხშირად აქვთ ოჯახთან დაკავშირებული პრობლემები ან პრობლემები თავიანთ სოციალურ გარემოში. ისინი ხშირად გამოდიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, სადაც მშობლებს ასევე დაბალი ინტელექტის კოეფიციენტი აქვთ და შესაძლოა სიღარიბეში ცხოვრობდნენ, აქვთ საცხოვრებლის პრობლემები, ჰქონდათ კონტაქტი სოციალურ სამსახურებთან და/ან აქვთ მწირი სოციალური კავშირები[42].

ინტელექტის დაბალი კოეფიციენტის მქონე მოზარდებს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ, ხშირად მათ ძალიან უჭირთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის აღქმა და გაგება. მათ ასევე აქვთ კოგნიტური იმპულსურობის უფრო მაღალი მაჩვენებლები და უფრო ხშირად ხდებიან მსჯავრდებულნი დანაშაულებრივი გადაცდომებისთვის[43]. ამასთან, პროფესიონალები ყოველთვის ადეკვატურად არ აფასებენ დაბალი IQ-ს მქონე

[38] ჰალლაჰანი და კაუფმანი, 2003.
[39] ვან დირკ-ფლტვუდ-ბერდი, 2017.
[40] ვან დირკ-ფლტვუდ-ბერდი, 2017.
[41] ლოებერი და სხვები, 2015; კაალი, 2015.
[42] კაალი, 2015
[43] კულჰოფი და სხვები., 2007.

ახალგაზრდების  კოგნიტურ და სოციალურ შესაძლებლობებს.

ინტელექტუალურმა უუნარობამ ახალგაზრდებში შეიძლება გამოიწვიოს კომუნიკაციის სირთულეები. მათ შეიძლება შეექმნათ პრობლემები სხვისი პერსპექტივების, სოციალური სიტუაციების, სოციალური ნიშნების და სოციალური ინფორმაციის დამუშავების გაგებაში. ამან შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები მოქმედების სათანადო გზების არჩევაში, როგორც ზოგადად საზოგადოებაში, ასევე იურიდიულ სისტემაში. გარდა აგრესიული ან პასიური გზისა  შესაძლებელია ასევე სახეზე იყოს ემოციების ვერბალურად გამოხატვის სირთულეები[44].

- აუტიზმის სპექტრის აშლილობა

აუტიზმის სპექტრის აშლილობის (შემდგომში "ASD") ძირითადი სიმპტომებია შეფერხებული სოციალური ინტერაქცია, დარღვეული კომუნიკაცია და განმეორებითი ქცევის და ინტერესების არსებობა[45]. ASD-ს შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა ინტენსივობის დონე. ამასთან, დიაგნოზის კრიტერიუმები მოიცავს მუდმივ დეფიციტს სოციალურ კომუნიკაციასა და სოციალურ ურთიერთქმედებაში, რაც გამოიხატება სოციალურ-ემოციურ ურთიერთობებთან დაკავშირებული პრობლემებით, არა ვერბალური კომუნიკაციის დეფიციტით და ურთიერთობების განვითარების, შენარჩუნებისა და აღქმის პრობლემებში. ASD-ს ხშირად თან ახლავს შეზღუდულ ინტელექტუალურ შესაძლებლობები[46].

ASD-ს მქონე ახალგაზრდებს შეიძლება სერიოზული პრობლემები ჰქონდეთ სოციალურ ინტერაქციაში, ასევე ASD  უკავშირდება თანაგრძნობის ნაკლებობას. ამან შეიძლება გამოიწვიოს ახალგაზრდების კონფლიქტი კანონთან. ანტისოციალური ქცევა შეიძლება იყოს სოციალური სიტუაციების "წაკითხვის" უუნარობის შედეგი[47].

ASD–ს შეუძლია გავლენა იქონიოს, როგორც არასრულწლოვანთა მიერ მართლმსაჯულების პროცესის აღქმაზე, ასევე თვითონ სისტემის შიგნით პროფესიონალებთან ურთიერთქმედების პროცესზე, მაგალითად: პოლიციელებთან, იურისტებთან, მოსამართლეებთან და სოციალურ მუშაკებთან. ASD–ს მქონე ახალგაზრდებს შეიძლება შეექმნათ სირთულეები  პროფესიონალების თვალთახედვის და გარკვეული კითხვების დასმის მიზეზების აღქმისას.

---

[44] ვიკს-ნელსონი და იზრაელი, 2003; კაალი, 2015.

[45] ვიკს-ნელსონი და იზრაელი, 2003.

[46] DSM-5, 2013

[47] ვაიჯერსი და დუინსტრაა, 2008.

## 5.2. ბავშვთან კომუნიკაცია

ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა უნდა გაიარონ შესაბამისი მომზადება, რომ მათ შეძლონ ბავშვთან კომუნიკაცია ბავშვისთვის ადაპტირებულ ენაზე[48]. ეს ქვეთავი დაყოფილია ორ ნაწილად: პირველ ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა დაამყარონ ეფექტური ურთიერთობა ბავშვებთან და მეორე ნაწილში მოცემულია რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოახდინონ საკუთარი სასაუბრო ენის და კომუნიკაციის ტექნიკის ადაპტირება ბავშვებთან ეფექტურად კომუნიკაციის მიზნით.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყველა სპეციალისტს აქვს ბავშვებთან მჭიდრო და თბილი ურთიერთობის დამყარების საკუთარი მეთოდი, და მნიშვნელოვანია, რომ მათ გამოიყენონ ტექნიკა, რომელიც მათთვის ყველაზე ეფექტურია და გაადვილებს კომუნიკაციას.

### გარემო

ბავშვთან გასაუბრება უნდა ჩატარდეს მშვიდ და მეგობრულ გარემოში, სადაც შეძლებისდაგვარად უნდა გამოირიცხოს გარე გამღიზიანებელი და ხელისშემშლელი ფაქტორები (მაგალითად, სხვა პირების დასწრება, ან სხვა პირები შესვლა იმ სივრცეში, სადაც ხდება გამოკითხვა; ხმაური, შემომავალი სატელეფონო ზარები და სხვა). გარე გამღიზიანებლებისა და ხელისშემშლელი ფაქტორებისგან თავისუფალი გარემო დაეხმარება ბავშვს უფრო ადვილად გაიხსნას, რადგან ისინი შეძლებენ უკეთ მოახდინონ ყურადღების კონცენტრაცია, უკეთ დაიმახსოვრონ, აღიქვან და გამოიყენონ ინფორმაცია და შეძლონ უფრო ზუსტი და სწორი პასუხების გაცემა.[49]

ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ თავდაპირველი შეხება მთლიანად აყალიბებს შემდგომი საუბრის ტონს და ამიტომ მნიშვნელოვანია ბავშვზე კარგი შთაბეჭდილების მოხდენა. ბავშვთან ეფექტური სამუშაო ურთიერთობისთვის და შინაარსობრივი საუბრის ჩასატარებლად, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთან ურთიერთობა დადებით ნოტზე დაიწყოს.

### მიზნის და ძირითადი წესების ახსნა

პროფესიონალმა უნდა გააცნოს თავი, აუხსნას საკუთარი როლი და განუმარტოს თუ რას ელოდება იგი ბავშვისგან. ასევე მნიშვნელოვანია ბავშვს აუხსნას, თუ რატომ არის საჭირო ინფორმაცია და რატომ უნდა იყოს ეს ინფორმაცია შეძლებისდაგვარად ზუსტი და დეტალური. ასევე, უნდა შეეცადოს ჩამოაყალიბონ ურთიერთობის რამდენიმე ძირითადი წესი, რათა მათი ბავშვისგან მიღებული ინფორმაცია რაც შეიძლება სასარგებლო და საიმედო იყოს.[50]

---

[48] ბავშვების შესახებ დირექტივა, მუხლი 19; აგრეთვე იხილეთ სახელმძღვანელო ბავშვთა მართლმსაჯულების შესახებ, განმარტებითი მემორანდუმი IV, A, 67.

[49] ლამბი და სხვები 2008

[50] კვლევებმა აჩვენა, რომ ამ საფუძვლიანი წესების გამოყენება გაზრდის ბავშვების მიერ მიღებული პასუხების სანდოობას (Saywitz et al., 2010; Lamb et al., 2008)

საუბრის ძირითადი წესები:

- პირველი სასაუბრო წესი მოითხოვს აუხსნათ ბავშვს, რომ თქვენ არ იმყოფებოდით იქ, როდესაც მოხდა სავარაუდო დანაშაული (დანაშაულში ეჭვმიტანილი, მოწმე ან მსხვერპლი ბავშვის შემთხვევაში) და რომ მნიშვნელოვანია ბავშვმა მოგაწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რაც მოხდა. უნდა წაახალისოთ ბავშვი, რომ მან შეძლოს მშვიდად გაიხსენოს მოვლენები, რაც უზრუნველყოფს მომხდარის შესახებ უფრო ზუსტი და საიმედო ინფორმაციის მოწოდებას.

- შემდგომში, ბავშვს უნდა აუხსნათ, რომ მას შეუძლია უპასუხოს კითხვებს შემდეგი სიტყვებითაც: ”მე არ ვიცი”, ”არ მახსოვს” და ”არ მესმის.”[51] ბავშვს, ასევე, უნდა განუმარტოთ, რომ მას შეუძლია შეგისწოროთ, თუ მას არასწორად გაუგებთ რამეს. უმცროსი ასაკის ბავშვებისთვის განსაკუთრებით რთულია იმის აღიარება, რომ მათ არ იციან კითხვაზე პასუხი. ეს შეიძლება იყოს იმის გამო, რომ მათ რეგულარულად უწევთ იცოდნენ სწორი პასუხი მასწავლებლის მიერ სკოლაში დასმულ შეკითხვებზე. შესაძლოა ბავშვებმა, კითხვაზე პასუხის გაცემის შეუძლებლობა გაათანაბრონ მარცხთან. კარგი იქნება თუ ბავშვს  დაუსვამთ რამდენიმე ისეთ  კითხვას, რომელზე პასუხის დროსაც ბავშვმა შეიძლება ივარჯიშოს ფრაზის “მე არ ვიცი”-ს თქმაში. კვლევებმა აჩვენეს, რომ როდესაც ბავშვს შეუძლია  დასმულ კითხვას უპასუხოს სიტყვებით "მე არ ვიცი", ეს მათ საუბრის დროს ეხმარება აღიარონ, რომ არ იციან ან არ ესმით რამე. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბავშვისთვის მხოლოდ იმის თქმა, რომ მათ შეუძლიათ თქვან ”მე არ ვიცი”, არ არის საკმარისი, რომ ისინი რეალურად ასე მოიქცევიან საუბრის დროს[52].

გავრცელებული შეცდომაა ერთი და იგივე კითხვის ორჯერ დასმა. ბავშვი შეიძლება შეეცადოს სხვა პასუხი გასცეს იმავე შეკითხვას, რადგან მან შეიძლება ჩათვალოს რომ არასწორი პასუხი გასცა თავიდან. ამან შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს და მათი ისტორიის არსზე მავნე ზეგავლენა მოახდინოს. პრობლემა კიდევ უფრო აშკარა ხდება, როდესაც ბავშვს უსვამენ კითხვებს, რომელიც თავის თავში მოიცავს პასუხს. (მეტი ინფორმაცია ჩაგონებადობას და სასაუბრო ტექნიკების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ქვემოთ).

საუბრის ძირითადი წესების ახსნა ყოველთვის არ არის მარტივი, მაგრამ აქ მოცემულია რამდენიმე ვარიანტი, თუ როგორ შეიძლება აუხსნათ ისინი ბავშვებს:

1. <u>სიზუსტის, სისრულის, გულწრფელობის ხელშეწყობა:</u> ‘‘მითხარი ყველაფერი, რაც გახსოვს, ისიც კი, რომლებიც შენი აზრით, არცთუ ისე მნიშვნელოვანია. არაფერი მოიგონო‘‘ აუხსენით, რომ თქვენ იქ არ იყავით და არ იცით რა მოხდა.

2. <u>ახსნა თუ როდის თქვას "არ ვიცი":</u> "თუ პასუხი არ იცი, მითხარი, რომ არ ვიცი. არ გამოიცნო ან არ მოიგონო არაფერი. მაგრამ თუ პასუხი იცი, მითხარი პასუხი. ბავშვებთან ამ პასუხის გაცემაში ვარჯიში შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: "გახსოვთ

51 ლამბი და სხვები 2008

52 სეივიტზი და სხვები 2010.

ჩემი სახელი?" თუ აღმოჩნდება, რომ ბავშვმა არ იცის პასუხი (რაც საკმაოდ ხშირად ხდება), ისინი გიპასუხებენ "არ ვიცი" ნეგატიური შეგრძნებების გარეშე. სასარგებლოა, თუ აუხსნით, რომ პასუხის არ ცოდნა არ არის პრობლემა.

3. <u>ახსნა თუ როდის თქვას „ვერ გავიგე“:</u> "მე მინდა დაგისვა რამდენიმე კითხვა. ზოგიერთი კითხვა ადვილად გასაგები იქნება, ზოგი კითხვა კი შეიძლება ძნელად გასაგები იყოს. თუ დაგისვამ კითხვას, რომელსაც ვერ გაიგებ, მითხარი - „ვერ გავიგე", "არ ვიცი რას მეკითხებით", ან "მე ვერ ვხვდები". მე ამ კითხვას შენ კიდევ ერთხელ დაგისვამ სხვა სიტყვებით. ახსნის კიდევ სხვა გზა არსებობს - ბავშვს დაუსვათ კითხვა, რომლის არსის გაგება მას გაუჭირდება, მაგალითად: " მითხარი შენი იურიდიული მისამართი". ბავშვების უმეტესობა ვერ იგებს რას ნიშნავს ეს და პასუხობს „ვერ გავიგე", "არ ვიცი რას მეკითხებით", რაც ბავშვს აჩვენებს, რომ გთხოვოთ დასმული კითხვის შინაარსის განმარტება.

4. <u>ბავშვის გაფრთხილება შეცდომაში შემყვანი კითხვების შესახებ:</u> „ზოგჯერ შეიძლება გამოვიყენო ჩემი ვარაუდი, ან შეიძლება შეცდომა დავუშვა. მითხარი, თუ მე ვცდები. მე არ ვიცი რა მოხდა. მე მინდა ვიცოდე რას ფიქრობ შენ. ჩემთვის მნიშვნელოვანია, მითხრა, რომ შეცდომა დავუშვი, ან არასწორად ვამბობ. მე მინდა სწორად გავიგო".

5. <u>ბავშვს უნდა განემარტოს, რომ თქვენ ვერ დაეხმარებით კითხვებზე პასუხის გაცემაში:</u> „მე არ ვიცი  რა გადაგხდა თავს, ან რა მოხდა თქვენს ოჯახში. მე არ შემიძლია დაგეხმაროთ შენ შეკითხვებზე პასუხის გაცემაში. როდესაც მეორედ ვსვამ კითხვას, ეს იმიტომ არ არის, რომ პასუხი არასწორია, არამედ იმიტომ, რომ პასუხი დამავიწყდა ან ვერ გავიგე[53].

## ურთიერთობის დამყარება

გაცნობისა და ძირითადი წესების განმარტების შემდეგ, უნდა შეეცადოთ, რომ  ბავშვთან თბილი და სანდო ურთიერთობა დაამყაროთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, თქვენსა და ბავშვს შორის უნდა დამყარდეს მინიმალური ემოციური კავშირი[54]. სანდო ურთიერთობის დამყარება ხელს უწყობს უფრო მშვიდი და მეგობრული გარემოს შექმნას, რაც ბავშვთან მომუშავე პროფესიონალს საშუალებას აძლევს, უკეთ გაიცნოს ბავშვი.

შესაძლოა, გაჭირდეს ბავშვთან ურთიერთობის დამყარება, რადგან ხშირად ბავშვებს არ სურთ უფროსებთან "გახსნა". ურთიერთობის დამყარების მაგალითია: "ახლა მე მსურს უკეთ გაგიცნო" ან "მომიყევი, რისი გაკეთებაც მოგწონს." როდესაც ბავშვი გასცემს მოკლე პასუხს, შეგიძლიათ  დაუსვას უფრო დეტალური შემდგომი კითხვები (Lamb et al., 2008).

ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები, ბავშვებთან საუბრისას, ფრთხილად უნდა იყვნენ,

[53] სეივიტზი ა სხვები., 2010.

[54] ლამბი და სხვები., 2008.

რომ არ განსაჯონ ისინი. არაგანსჯითი დამოკიდებულება მოითხოვს საკუთარი შეხედულებების კრიტიკულ შემოწმებას და იმის აღიარებას, რომ შესაძლოა ეს რწმენა არ იყოს საყოველთაოდ მიღებული.[55] ეს ნიშნავს, რომ უფრო უნდა უსმენდეთ ვიდრე საუბრობდეთ, შესაბამისად ბავშვს ექნება მეტი საშუალება გაგიზიაროთ საკუთარი ფიქრები და განცდები.[56] განსჯის საშიშროების გარეშე საკუთარი თავის გამოხატვა, ბავშვს საშუალებას აძლევს გააცნობიეროს, რომ მისი აზრი დაფასებულია, რაც თავის მხრივ ზრდის ზრდასრულთა მიმართ მათ ნდობას.[57]

## კონფიდენციალურობა

ბავშვის დარწმუნება, რომ მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას კონფიდენციალურად მოეპყრობიან, დაეხმარება მას თავი უსაფრთხოდ იგრძნოს და მისცემს საშუალებას უფრო თავისუფლად ისაუბროს[58]. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ საუბრის დაწყებამდე ბავშვებს აცნობოთ, რომ მათი კონფიდენციალურობა იქნება დაცული და რას ნიშნავს ეს პრაქტიკაში.

კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვების პასუხებზე გავლენას ახდენს სხვა პირთა დასწრება. მაგალითად, მათ შესაძლოა სხვების თანდასწრებით არ დაადანაშაულონ უფროსები ან თანატოლები, ან შეიძლება უფროსებისგან მოელოდნენ კარნახს პასუხის გაცემისას. მშობლები შეიძლება დაეხმარონ ბავშვებს ამ სირთულეების გადალახვაში, მაგრამ ეს დამოკიდებულია მშობელსა და შვილს შორის ურთიერთობის ხასიათზე და იმაზე, თუ რა სახის მხარდაჭერას უწევს მშობელი[59].

შესაძლოა, საჭირო გახდეს მგრძნობიარე საკითხების მარტო ბავშვთან, მშობლების გარეშე განხილვა. როდესაც მშობლები ესწრებიან გამოკითხვას, შეიძლება ბავშვი შეეცადოს დამალოს ინფორმაცია, რამაც შეიძლება აღაშფოთოს მშობლები ან ეს შეცვლის შვილის შესახებ მათ წარმოდგენას. ამ პრობლემის გადალახვა შეიძლება სცადოთ ბავშვთან პირადი საუბრით და დაარწმუნონ ის, რომ მათ არ სჭირდებათ მშობლებისთვის ყველაფრის გამხელა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთან მოხდეს იმის განხილვა, თუ რომელი ინფორმაცია მიეწოდებათ მშობლებს და რა ინფორმაცია იქნება კონფიდენციალური[60].

## დამყოლობა და ჩაგონებადობა

ზოგადად, ბავშვები უფრო ადვილად ექცევიან გავლენის ქვეშ, ვიდრე მოზრდილები. ამ საკითხის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, როდესაც ბავშვის გამოკითხვა ტარდება. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებს, მნიშვნელოვანია მუდმივად ახსოვდეთ ეს როგორც

---

[55] გრანტი და სხვები 2008

[56] ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია 2002

[57] ამერიკის ფსიქოლოგიური ასოციაცია, 2002

[58] ჯანდაცვის სფეროში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ ბავშვები მზად არიან მიაწოდონ მნიშვნელოვანი ინფრომაცია, თუ სამედიცინო შემოწმება იწყება კონფიდენციალურობის განხილვით (Grant et al., 2008)

[59] საივიტზი და სხვები 2010

[60] გრანტი და სხვები 2008.

ბავშვთან საუბრისას, ასევე, როდესაც პოლიციაში დაკითხვაზე ან სასამართლო სხდომაზე ეჭვმიტანილ ბავშვთან ერთად იმყოფებიან.

**დამყოლობა** ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც შეიძლება ცრუ აღიარება ან არასწორი ინფორმაცია მივიღოთ, არის ინდივიდუალური წინასწარი განწყობა. განსაკუთრებით მოწყვლადი არიან ისინი, ვისაც ახასიათებთ დამყოლობის მაღალი დონე. ბავშვობა და მოზარდობა, ამ თვალსაზრისით, მიიჩნევა ერთ-ერთ დიდ რისკ-ფაქტორად. ზოგჯერ დამყოლი ადამიანი, ბავშვი, ყალბად აღიარებს, ან გამომკითხველს აძლევს ცრუ ინფორმაციას გამოკითხვის ან დაკითხვის დაჩქარების, ან დასრულების მიზნით. დაყოლიებით მიღებულ ცრუ ინფორმაციასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადგილი აქვს ზეწოლას, და/ან ასეთი ზეწოლა მოიცავს დაპატიმრების საფრთხეს.[61] დამყოლობა, ასევე, შეიძლება გამოიწვიოს კონფლიქტის თავიდან აცილების ან გამომკითხველისთვის სიამოვნების მინიჭების სურვილმა.

**ჩაგონებადობა** ეხება იმას, თუ რამდენად შეიძლება ინდივიდმა ირწმუნოს ინფორმაცია, რომელიც მას არასწორად მიაწოდეს. არსებობენ უაღრესად ჩაგონებადი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ შექმნან ინციდენტების ფსევდო-მოგონებები. აშშ – ში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ჩაგონებადი ადამიანები ნაკლებად აღიქვამენ თავიანთ უფლებებს და უფრო მეტად იძლევიან აღიარებით ჩვენებებს[62]. გამოკითხვებმა აჩვენეს, რომ ჩაგონებადობის პროცენტი უფრო მაღალია ქალებში, ვიდრე მამაკაცებში; ჩაგონებადობა მაღალია 12 წლამდე ასაკის ბავშვებში, დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანთა შორის, ადამიანი რომელიც შფოთავს ან დაღლილია, და ისეთ სიტუაციებში, როდესაც ინდივიდი თვლის, რომ მან უნდა გასცეს პასუხი ყველა კითხვაზე.[63] იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვები ხშირად თვლიან, რომ მათ უნდა გასცენ პასუხი ყველა მათთვის დასმულ შეკითხვაზე,[64] და რომ ისინი უფროსების მიმართ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში იმყოფებიან, განსაკუთრებით დაუცველნი არიან ჩაგონების მიმართ. ბავშვებს ხშირად მიაჩნიათ, რომ გამომკითხველს აქვს უზენაესი ცოდნა და სურს თანამშრომლობა, მიუხედავად იმისა, რომ არ იციან რა არის გამომკითხველის მოტივი.[65] ბავშვთან გასაუბრების, გამოკითხვა/დაკითხვის ძირითადი წესების დაცვა, ჩაგონებადობის თავიდან აცილების კარგი საშუალებაა. უფრო მეტიც, თავიდან უნდა იქნას აცილებული მიმნიშნებელი კითხვები და იძულება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს აეხსნას დუმილის უფლება. ეს უფლება არა მხოლოდ, როგორც ფაქტი უნდა იყოს წარმოდგენილი, არამედ მისი შედეგებიც უნდა აიხსნას.

---

[61] გუჟონსო, 2003.

[62] რედლიხი და სხვებ, 2006.

[63] გუჟონსონი, 2003.

[64] საივიტზი და სხვები, 2010.

[65] ლემბი და სხვები 2008.

## საუბრის ტექნიკა

საუბრის დაწყების ზოგადი წესია, საუბრის ისე დაწყება, რომ ადამიანს სურვილი გაუჩნდეს, მისი გაგრძელებისთვის. შექმენით ისეთი გარემო, სადაც უმეტესწილად ბავშვი ისაუბრებს, ხოლო გამომკითხველი მოუსმენს მას. ეს მნიშვნელოვანია, რადგან ბავშვებს დრო სჭირდებათ კითხვის მნიშვნელობის აღსაქმელად და პასუხების ფორმულირებისთვის. როდესაც ბავშვი დუმს, უნდა შეეცადოთ გაიგოთ, თუ რა დგას ბავშვის უარის უკან, პასუხი გასცეს დასმულ შეკითხვას[66]. რეკომენდაცია - ბავშვებს უნდა მიეცეთ დრო, რომ უპასუხონ კითხვებს (მინიმუმ 10-20 წამი), და თქვენ არ უნდა იჩქაროთ სხვა კითხვების დასმა. (დელფოსი, 2005 წ.)

სასარგებლოა ბავშვთან გასაუბრების გარკვეული ტექნიკის გამოყენება ბავშვებთან უფრო ეფექტურად კომუნიკაციის დამყარების მიზნით. მილერმა და როლნიკმა (2002) შეიმუშავეს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მოტივაციური ინტერვიუების ჩატარების მეთოდი, რომელიც პირველად შეიქმნა ჯანდაცვის კონტექსტში, რათა დახმარებოდნენ პაციენტებს, მიეღოთ სწორი მკურნალობა. ეს მიდგომა იყენებს ურთიერთქმედების პირდაპირ, კლიენტზე ორიენტირებულ სტილს ქცევითი ცვლილებების გამოსავლენად[67]. ქვემოთ მოყვანილია ოთხი სასაუბრო ტექნიკაა:

- ღია კითხვის დასმა;
- ამრეკლავი მოსმენა;
- დადასტურება და
- შეჯამება.

**ღია კითხვების დასმა** არ იწვევს პიროვნების მიერ კონკრეტული პასუხის გაცემის საჭიროებას, ამის ნაცვლად, ისინი საშუალებას აძლევს ადამიანს იფიქროს საკუთარ პასუხებზე. გამომკითხველები უნდა შეეცადონ, გამოიყენონ ღია კითხვები, რათა ბავშვმა შეძლოს საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბება.

ღია კითხვების მაგალითებია:

- მესმის, რომ რაღაც შეგემთხვა. ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა, თავიდან ბოლომდე“.
- ყველაფერი მითხარი რა მოხდა
- კიდევ მომიყევი [ბავშვის მიერ ნახსენები პიროვნების / ობიექტის / საქმიანობის შესახებ?
- „შემდეგ რა მოხდა?“
- რა მოხდა უშუალოდ ამის წინ? ამის შემდეგ?
- და მერე რა მოხდა?
- უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ
- რა სახის სირთულეებს განიცდიდი შენი აგრესიის გამო?
- "როგორ წარმოიდგენდი შენს ცხოვრებას ამ მომენტიდან ერთის წლის შემდეგ?

[66] საივიტზი და სხვები 2010

[67] ლევინსკი და სხვები., 2007.

საუბარი შეიძლება გაგრძელდეს შემდგომი კითხვების დაკომპლექტებით ან უბრალოდ ერთი სიტყვის წარმოთქმით, რომელიც ახდენს მოთხრობის გაგრძელებას ხელშეწყობას, მაგალითად, 'აჰა,' ასე ...?, 'და ...?' ან 'იმიტომ, რომ ...? ამ არაპირდაპირი სიტყვების გამამხნევებელი სტილი საშუალებას მისცემს ბავშვმა ისაუბროს ინფორმაციულად [68]. ასევე, შეიძლება გამოყენებულ იქნას ჯაჭვური დაკითხვის ტექნიკა. ესე იგი, როდესაც ინტერვიუერი იმეორებს პასუხის მცირე ნაწილს და სვამს შემდგომი კითხვას, რათა ბავშვმა გააცნობიეროს, რატომ არის დასმული შემდეგი კითხვა.

გამომკითხველები ხშირად იყენებენ პირდაპირ/მიმართული შეკითხვებს, რომ მოახდინონ ბავშვის ყურადღების გამახვილება იმ დეტალებზე ან ინციდენტებზე, რომლებიც მანამდე იყო ნახსენები. ეს ნიშნავს, რომ გამომკითხველი იყენებს სიტყვას "შენ" და სთხოვს ბავშვს განავრცოს მის მიერ ადრე ნათქვამი. მაგალითად, “შენ ადრე გიო ახსენე, შეგიძლიათ კიდევ უფრო მეტი მოგიყვეთ მასზე?"

კითხვები რატომ, როდის, სად, რა, როგორ, არის ღია ტიპის კითხვების შემავსებელი პირდაპირი/მიმართული კითხვები, მაგრამ ეს კითხვები უნდა დაისვას იმ ინფორმაციის კონტექსტში, რომელიც ბავშვმა უკვე ახსენა, რათა თავიდან იქნას აცილებული ჩამაგონებელი და მიმანიშნებელი კითხვის დასმა. მაგალითად, “შენ ახსენე, რომ შენ და ჩარლი ერთად წახვედით პარკში. შეგიძლია მითხრა რომელ პარკში წახვედით?[69] სიტყვა „რატომ“ უნდა გამოიყენოთ კითხვებში ძალიან ფრთხილად, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მხრიდან თავდაცვითი რეაქცია. ამიტომ მიზანშეწონილია “რატომ” კითხვების შემცველი წინადადების პერიფრაზირება.

ბავშვთან სავარაუდო დანაშაულის ან უფრო ზოგადად, მისი ქცევის შესახებ საუბრისას, შესაძლოა მათთვის სასარგებლო აღმოჩნდეს საკუთარი ქცევის და ასეთი ქცევის მიზეზის გაგება. იმისთვის, რომ დაეხმაროთ ბავშვს გააცნობიეროს საკუთარი საქციელი, ბავშვთან მომუშავე პროფესიონალს შეუძლია სთხოვოს ბავშვს დაფიქრდეს, თუ მისი საქციელი როგორ დაეხმარება ან შეუშლის ხელს მათ სამომავლოდ მიზნებს. . არასასურველი რჩევების მიცემა ან მიზანმიმართული გაფრთხილებების გაკეთება არ არის მიზანშეწონილი, რადგან ეს ხშირად იწვევს წინააღმდეგობის გაწევის სურვილს[70]. ქცევითი ცვლილებები შინაგანად უნდა იყოს მოტივირებული.

**ამრეკლავი მოსმენა** - ამრეკლავი მოსმენა გულისხმობს ბავშვის განაცხადზე რეაგირების ტექნიკას, რომლის დროსაც გამომკითხველი შეკითხვით ბავშვის მონაყოლის არსის ან სპეციფიური ასპექტის დაზუსტებას ახდენს. ამ ტექნიკას აქვს სამი ფუნქცია: (i) იმის უზრუნველყოფა, რომ გამომკითხველი დარწმუნდეს, რომ ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია არის დეტალური; (ii) ბავშვში წინააღმდეგობის გრძნობის შემცირება; და (iii) დისკუსიის გამარტივება ბავშვის მიერ რაიმე ცვლილების შეტანის მიზეზებით[71]. ამრეკლავი შეკითხვები შეიძლება იყოს ძალიან მარტივი და შეიძლება ითვალისწინებდეს ბავშვის

[68] ლამბი და სხვები., 2008.

[69] Lamb et al., 2008.

[70] ნაარ-კინგი, 2011.

[71] ლევინსკი და სხვები, 2007.

ნათქვამის გამეორებას. ამასთან, შესაძლებელია მათი გართულება განცხადების მიერ ბავშვის მონაყოლის პერიფრაზირებით ან გავრცობით. ამრეკლავი შეკითხვები მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული ბავშვის გამონათქვამებთან, მათ უნდა მიეცეთ ამრეკლავი კითხვის შესწორების საშუალება ან შესაბამისი დრო პასუხის ჩამოსაყალიბებლად. ამგვარად ისინი იგრძნობენ, რომ მათი უკეთესად ესმით და ეს თავის მხრივ გაუჩენს ბავშვს სურვილს, დაფიქრდეს ცვლილებების შესახებ[72]. ამრეკლავი მოსმენის მაგალითია - შენ გრძნობ, რომ შენი სოციალური მუშაკი ვერ ახერხებს დაგეხმაროს  პრობლემების მოგვარებაში და სახლში სიტუაცია არ უმჯობესდება. შენ გრძნობ, რომ „გაიჭედე“. რას ხედავ, როგორც ამ პრობლემის მოგვარების საშუალებას?

**დადასტურება (აღიარება)** - ბავშვებთან საუბრისას, დადასტურება შეიძლება იყოს კარგი გზა მხარდაჭერის, თბილი და სანდო ურთიერთობების შექმნისათვის. მაგალითად, დადასტურება შეიძლება გამოიხატოს, ბავშვის შექებით, რომ მოახერხა მოსულიყო ინტერვიუზე, პატარა წარმატებების აღნიშვნით, მოწონებით ან გაგებით.[73]  დადასტურება (აღიარება) უნდა იყოს გულწრფელი და კონკრეტული. დადასტურება ყველაზე ეფექტურია, როცა იგი უკავშირდება ბავშვის ნათქვამს და აღნიშნავს ბავშვის ძლიერი მხარეს ან ძალისხმევას.[74] ხოლო, დაკითხვის ან გამოკითხვის დროს, გამომკითხველებმა არ უნდა შეაქონ ბავშვი იმის გამო, რაც მან თქვა, ამას ექნება მიმანიშნებელი ეფექტი. ამ სიტუაციებში გამომკითხველს უნდა ჰქონდეს ნეიტრალური, მაგრამ მეგობრული დამოკიდებულება, რათა თავიდან აიცილოს ჩაგონება. დადასტურება/აღიარების მაგალითებია:

- ”გმადლობ, რომ დღეს მოხვედი.”
- ”ძალიან ჭკვიანურია, რომ ფიქრობ იმაზე, თუ რა შესაძლებლობები გაქვს.”
- ”შესანიშნავია, რომ გადაწყვიტე მარიხუანის მოწევა შეწყვიტო.”
- ”მე ვხედავ, რომ შენ გსურს განიხილო რთული ვარიანტები, რათა საკუთარი თავისთვის გააკეთო საუკეთესო არჩევანი’’.

**შეჯამება** - ბავშვის განცხადებების შეჯამებისას, მათი შეხედულებების სრული სურათი უნდა აისახოს ან შეჯამებაში.  ამის შემდეგ უნდა მოხდეს იმის შემოწმება, თუ რამდენად გაითვალისწინა/აღიქვა/გაიგო სპეციალისტმა ბავშვის შეხედულებები ზუსტად[75]. შეჯამების მაგალითები:

- „შენ დღეს ბევრი რამ მითხარი და მინდა მადლობა გადაგიხადო, რომ დამეხმარე.”
- „არის კიდევ რამე, რასაც თვლი, რომ უნდა ვიცოდე.”
- „გაქვს შეკითხვები, რომლებიც გინდა დამისვა”
- „თუ მოგინდება კიდევ ერთხელ ჩემთან გასაუბრება, შეგიძლია დამირეკო ამ ტელეფონის ნომერზე“
- საუბარი შეიძლება დაიხუროს ბავშვისთვის კითხვის დასმით, აქვს თუ არა სხვა ინფორმაცია რისი გაზიარებაც სურ მას.

---

[72] ლევინსკი და სხვები., 2007; ნაარ-კინგი, 2011.

[73] ლევინსკი და სხვები., 2007.

[74] ნაარ-კინგი, 2011.

[75] ერიკსონი და სხვები, 2005.

## ნეგატიური ქცევა

ყოველთვის არ არის ადვილი ბავშვებთან საუბარი, რადგან ისინი შეიძლება მტრულად განწყობილნი იყვნენ ან / და არ სურდეთ ესაუბრონ ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს და სხვა უფროსებს. ეს განყოფილება ასახავს იმ საერთო პრობლემებს, რომელთა წინაშეც პროფესიონალები ბავშვებთან ურთიერთობისას შეიძლება აღმოჩნდნენ და რამდენიმე რეკომენდაციას იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ამ გამოწვევების დაძლევა.

ზოგჯერ განსაკუთრებით რთულია ბავშვთან საუბარი, მათი ქცევის გამო. მაგალითად, როდესაც ბავშვი გულგრილია, თუ ისინი უარყოფენ პრობლემას, ან აგრესიულები არიან. ქვემოთ, ჩარჩოში, ჩამოთვლილია რამდენიმე რეკომენდაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება გაუმკლავდეთ ქცევას, რომელიც სპეციალისტებს ხშირად უშლის ხელს ბავშვებთან კონსტრუქციულ საუბარში.

**ბავშვებთან საუბრის წარმართვის ძირითადი ასპექტები**

<u>თუ ბავშვი ავლენს აპათიურ, გულგრილ დამოკიდებულებას:</u>

- გამოიჩინეთ ინტერესი მათი პირადი ცხოვრების მიმართ;
- ახსენით მათი ქცევის შედეგები
- განაგრძეთ კითხვების დასმა
- მოუყევით ბავშვს რაიმე თქვენს შესახებ
- ჰკითხეთ, რა არის კარგი მის ცხოვრებაში
- დაუსვით ირიბი შეკითხვები (მაგ., "სად ცხოვრობ?"-ის მაგივრად, ჰკითხეთ - „შეგიძლია მითხრა სად ცხოვრობ?)
- გამოიყენეთ იუმორი
- აუხსენით, რომ ბავშვმა უნდა ისაუბროს/იურთიერთოს თქვენთან (მაგ., "თუ შენ არ ხარ დაინტერესებული, ჩვენ შეგვიძლია შეწყვიტოთ ეს საუბარი")
- ყურადღება გაამახვილეთ ბავშვის ინტერესებზე
- მიეცით ბავშვს საუბრის საშუალება და პასუხისმგებლობა. არ დაარღვიოთ სიჩუმე სწრაფად.

<u>თუ ბავშვი უარყოფს პრობლემას:</u>

- შეეცადეთ იპოვოთ უარყოფის მიზეზი
- უბიძგეთ ბავშვს, რომ ინიციატივა აიღოს პრობლემის შესახებ საუბრისას (მაგ., "ჩვენ შეგვიძლია შევჩერდეთ, თუ პრობლემა ნამდვილად არ არის")
- ალტერნატიულად, გამოხატეთ გაკვირვება პრობლემის უარყოფაზე
- მიაწოდეთ ბავშვს ფაქტები
- მიეცით ბავშვს საშუალება, იყოს კომუნიკაციის ინიციატორი
- ჰკითხეთ ბავშვის სიტუაციის აღქმის შესახებ
- დარწმუნდით, რომ თქვენ ასევე ესაუბრეთ ბავშვს პოზიტიურ საკითხებზე ან სხვა იმ ასპექტებზე, რასთანაც მას გამკლავება უწევს.
- საუბრისას ხაზი გაუსვით ბავშვის ინტერესებს

<u>თუ ბავშვი არ თანამშრომლობს და საჭიროებს მოტივაციას:</u>

- გაითვალისწინეთ, რომ ბავშვს კომუნიკაცია სჭირდება, იმისთვის რომ მიაღწიოთ პროგრესს: „მაშ, გამოდის ჩვენ გავიჭედეთ ერთ ადგილზე და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, შევწყვიტოთ ყოველგვარი მცდელობა“
- აუხსენით ბავშვს რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს, თუ იგი უარს იტყვის თანამშრომლობაზე
- აუხსენით თანამშრომლობის „სარგებელი“
- საჭიროების შემთხვევაში, შეაქეთ იგი

<u>თუ ბავშვი იძლევა ურთიერთსაწინააღმდეგო პასუხებს (მაგ., ბავშვი ამბობს, რომ ყველაფერი რიგზეა, მაგრამ თქვენ გრძნობთ და ხედავთ გაღიზიანებას მათ ქცევაში):</u>

- მიუთითეთ შეუსაბამობებზე (მაგ., მე ვხედავ, რომ გაბრაზებული ხარ)
- შეეცადეთ, რომ ისინი უფრო გულწრფელები იყვნენ (მაგ., მე არ მჯერა, რომ)

<u>თუ ბავშვი ავლენს აგრესიულ ქცევას:</u>

- განუმარტეთ საუბრის წესები: ”მე არ მინდა, რომ შენ ჩემთან ასე ისაუბრო!”;
- შეინარჩუნეთ სიმშვიდე;
- ჰკითხეთ მიზეზი, რის გამოც ბავშვი გაბრაზებულია.

<u>თუ ბავშვს აქვს ძლიერი გარეგანი კონტროლის ლოკუსი (ე.ი. ისინი სხვებს ადანაშაულებენ ყველაფერში), ან ძლიერი შინაგანი კონტროლის ლოკუსი (ე.ი. ისინი საკუთარ თავს ადანაშაულებენ ყველაფერში):</u>

- იმუშავე ურთიერთგაგების ხელშესაწყობად (მოახდინეთ სიტუაციის მოკლედ აღწერა);
- დაუპირისპირეთ ბავშვის აზრებს შესაბამისი შეხედულებები;
- დაეხმარეთ მათ თანაგრძნობაში.

<u>თუ ბავშვი ძალიან ჩაკეტილია</u>

- ფრთხილად იყავით, რომ არ გააკეთოთ ყველაფერი ბავშვის მაგივრად;
- შეეცადეთ დაადგინოთ მათი სიჩუმის/ჩაკეტილობის მიზეზი (მაგ. შფოთვა);
- მოიფიქრეთ, თუ მათი პირადი ცხოვრების რა თემებზე შეგიძლიათ ესაუბროთ (მაგ. ტანსაცმელი, მუსიკა, ჰობი); და
- დაუყონებლივ ჩართეთ პროცესში ბავშვის მხარდაჭერის სისტემა (მაგალითად, მშობლები, მასწავლებლები, სანდო პირი).

<u>თუ ბავშვს აქვს ანტისოციალური პიროვნების აშლილობა ან ქცევის დარღვევა:</u>

- საუბარი და კითხვები უნდა იყოს მოკლე და კონკრეტული;
- არ დაკარგოთ საუბრის მიმართულება ან მიზანი;
- ყურადღებით განასხვავეთ ბავშვი და მათი ქცევა. ხაზი გაუსვით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეს ქცევა მისაღები არ არის, ეს არ იმოქმედებს მის როგორც პიროვნების მიმართ, თქვენს მხარდაჭერასა და თანაგრძნობაზე.
- მიეცით ბავშვს საშუალება პასუხისმგებლობა აიღოს საკუთარ ქმედებაზე და თვითონ შეძლოს გამოსავლის პოვნა;

- დაუპირისპირეთ ბავშვი მისი ქცევის შედეგებს;
- მცირე სივრცე დაუთმეთ მოლაპარაკებისთვის ; და
- იყავი თანმიმდევრული.

<u>თუ ბავშვი არის ძალადობის ან/და სხვა ცუდი მოქცევის მსხვერპლი:</u>

- სერიოზულად მიუდექით ბავშვს, შეაფასეთ მათი ტკივილი, მიეცით საშუალება, რომ მოგიყვეთ საკუთარი ამბავი;
- გამოხატეთ მხარდაჭერა ბავშვის მიმართ ქმედებით და სიტყვიერად;
- პატივი ეცით ბავშვის პირად საზღვრებს; და
- გაითვალისწინეთ ძლიერი "უადგილო" ერთგულება ზოგიერთი ადამიანის მიმართ.

ადაპტირებულია: ვან რიენინი, 2016 წ

## შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობები

შემდეგი რეკომენდაციები უნდა გაითვალისწინონ სპეციალისტებმა, როდესაც ესაუბრებიან შეზღუდული ინტელექტუალური შესაძლებლობების მქონე ბავშვს.

- ბავშვების მხრიდან დიდი შფოთვის და დაბნეულობის შესაძლო განცდის გამო, თბილი და ნდობაზე დამყარებული ურთიერთობის აგების ეტაპი უნდა გახანგრძლივდეს;
- ბავშვს თან უნდა ახლდეს სანდო პირი, მინიმუმ საუბრის დაწყების დროს;
- გამომკითხველები საუბრისას უნდა ფოკუსირდნენ ერთ კონკრეტულ ინციდენტზე, როდესაც განსახილველია რამდენიმე ინციდენტი;
- გამომკითხველმა უნდა გამოიყენოს მოკლე კითხვები, მარტივი ლექსიკით და წინადადებების მარტივი წყობით, შეზღუდულ შესაძლებლობებზე მოსარგებად.
- ინტერვიუერებმა უნდა შეანელონ ინტერვიუს ტემპი და რაც შეიძლება ნათლად გამოთქვან ფრაზები[76]

[76] ლამბი და სხვები, 2008.

მიზანზე ორიენტირებული მატრიცა: ბავშვების მოსმენა

ქვემოთ წარმოდგენილი მატრიცა შექმნილია იმისთვის, რომ პროფესიონალებს დაეხმარონ თავიანთი საუბრის სტრუქტურირებაში, სხვადასხვა ნაბიჯების გამოყენებით, საუბრის დასაწყისიდან ბოლომდე.

**მიზანზე ორიენტირებული მატრიცა: ბავშვის მოსმენა**

**I. შესავალი**

- დარწმუნებული ხართ, რომ თავს კომფორტულად გრძნობთ?
- დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვი  თავს კომფორტულად იგრძნობს (იფიქრეთ კონტაქტზე და შეთახმებაზე)?
- აუხსენით თქვენი როლი (საჭიროების შემთხვევაში, მოახდინეთ რეფერირება მოწვევის წერილზე) და ჰკითხეთ ბავშვს თუ რა მოლოდინი აქვს.
- თვალნათელი გახადეთ სამუშაო ჩარჩო.

**II. ფაქტები / გამოცდილება (ფოკუსირება წარსულზე)** *ფიქრი*

- რამ განაპირობა შენი აქ ყოფნა. რა მოხდა?
- როგორ ხედავ შენ შენს მდგომარეობას?

**III. მსჯავრის დადება / ინტერპრეტაცია / მნიშვნელობა (ყურადღების გამახვილება აწმყოზე)** *გრძნობა*

- ახლა რა პრობლემა გაქვს?
- რას ფიქრობ ამაზე; რას ნიშნავს ეს შენთვის?

**IV. გადაწყვეტილება / მიზანი (ფოკუსირება მომავლისკენ - საჭიროებები / 'ოცნება')** *სურვილი*

- რა არის საჭირო თქვენი პრობლემის გადასაჭრელად?
- რა გინდა / გსურს?

**V. რეაქცია / ქცევა (ფოკუსირება მომავალზე - მოქმედება (მოკლევადიანი) / მოლოდინი (გრძელვადიანი)** **ქმედება**

- რას აპირებ?
- როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?

**VI. შეჯამება**

- რაც ითქვა - შეაჯამეთ?
- რას აპირებ ამასთან დაკავშირებით / რის ჩაწერას აპირებ / რა გადაწყვეტილების მიღებას აპირებ ამის შესახებ?
- საუბარი წარმართეთ ისე, რომ ბავშვი გადმოერთოს აწმყოზე - საუბრის დასრულება

თავისუფლად ადაპტირებულია კუენჰოვენის სამწვრთნელო მატრიციდან,
Hendriks & Van Rheenen, 2016

## სასაუბრო ენა და ენის გამარტივება

იმისათვის, რომ ბავშვებს დაეხმაროთ გაიგონ/აღიქვან მათთვის მიწოდებული ინფორმაცია და უზრუნველვყოთ მათი ეფექტური მონაწილეობა, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა იცოდნენ, თუ როგორ შეიძლება ენის ადაპტირება, რათა ბავშვმა უკეთ აღიქვას მათი საუბარი. შესაძლოა, ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებს, ასევე, დასჭირდეთ იმ შემთხვევების იდენტიფიცირება, როდესაც ბავშვზე მორგებული სასაუბრო ენა არ გამოიყენება პოლიციის თანამშრომლების, მოსამართლეების და პროკურორების მიერ, რათა მოხდეს შესაბამისი კორექტირებები.

ზოგადად, ბავშვებთან საუბრისას, განსაკუთრებით მათთან, ვისაც აქვს შეზღუდული შესაძლებლობები და ვისაც ბავშვთა დაცვის პროფესიონალებთან, მათ შორის მართლმსაჯულების სისტემასთან ურთიერთობის ნაკლები გამოცდილება აქვთ, რთული და გრძელი წინადადებების ნაცვლად უნდა გამოიყენოთ მოკლე წინადადებები მარტივი გრამატიკული კონსტრუქციებით. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე წინადადება, თუ როგორ უნდა გამარტივდეს სასაუბრო ენა:

**რჩევები - როგორ გავამარტივოთ ენა**

1. გამოიყენეთ მოკლე წინადადებები და მარტივი გრამატიკული კონსტრუქციები; თავი აარიდეთ ზედმეტად ბევრი კავშირის გამოყენებას, რთულ ქვეწყობილ და თანწყობილ წინადადებებს (მაგ. „ბიჭმა, რომელიც ცხოვრობს გზის მეორე მხარეს, გითხრა რომ ეს გაგეკეთებინათ?”), ორმაგი უარყოფა (მაგ., „მაგრამ შენ ჯიბეში არაფერი გქონდა, ასე არ არის?“), პირობითი წყობა („შენ წახვიდოდი სკოლაში, თუ გააკეთებდი დავალებას?’, და ზოგიერთ ენაზე, სურვილის/პერსპექტივის გამომხატველი წყობა.

2. გამოიყენეთ მარტივი გრამატიკული დრო (მაგ. იყო? მოხდა? გააკეთა? რა მოხდა?) მოერიდეთ მრავალ სიტყვიან ზმნებს (მაგ., „შეიძლება ყოფილიყო“).

3. გამოიყენეთ საკუთარი სახელები, მოერიდეთ ნაცვალსახელებს (მაგ., მას, იგი, ის).

4. გამოიყენეთ მოქმედებითი გვარი: ("დედაშენმა გინახულა?); მოერიდეთ წინადადებების გამოყენებას ვნებით გვარში: (‘შენ მონახულებული იყავი დედისგან?“)

5. მოერიდეთ ჟარგონს და დაუზუსტებელ ცნობებს: (მაგ. „ამ ყველაფერს ისევ ხომ არ გიხილავთ?”), მოერიდეთ წინდებულებს, ზმნიზედებს, კავშირებს, და ფარდობით ტერმინებს (ზემოთ, ქვემოთ, გარშემო, მეტი, ნაკლები).

6. ფრთხილად იყავით ტერმინების გამოყენებისას, განსაკუთრებით ისეთების, რომლებსაც ერთზე მეტი მნიშვნელობა აქვთ. მცირეწლოვანი ბავშვებისთვის „მოსმენა" არის ის, რასაც ყურით ისმენს.

(Saywitz et al., 2010)

ბავშვებს ხშირად ექმნებათ ტერმინების აღქმის პრობლემები. მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ ბავშვებს ყოველთვის არ ესმით, თუ რაზე არის საუბარი სასამართლო განხილვის დროს[77]. შესაბამისად, ისინი გრძნობენ თავს აფორიაქებულად, არ არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები და აქვთ  სასამართლო მოსმენის და მისი შედეგების[78] არარეალისტური შიში. მაგალითად, ტერმინი "სასჯელი" ბევრი ბავშვისთვის ნიშნავს ციხეში მოხვედრას. როცა სასამართლო განხილვებში მონაწილეობენ პროფესიონალები, რომელთა საუბარსაც ბავშვი ვერ იგებს,  ამ ფაქტის გამო ბავშვებს შეიძლება დაეკარგოს ინტერესი და უარი თქვან მოსმენაში მონაწილეობაზე. დაეყრდენით მხოლოდ ბავშვის თხოვნას, თუ მათ რაიმე არ ესმით აუხსენით.

[77] ჰაზელი და სხვები, 2002; პლოტნიკოვი და ვულფსონი, 2002

[78] სეივიტზი და სხვები., 2010; კროუფორდი და ბული, 2006; გრისსო და სხვები, 2003.

# დამაზიანებელი სექსუალური ქცევა - შეფასების ინსტრუმენტი

## როგორ გამოვიყენოთ შეფასების ინსტრუმენტი?

თითოეული დომეინისთვის (რეაგირება, პრევენცია, შეფასება, ინტერვენცია) განკუთვნილია შეფასების ფორმა, რათა ადგილობრივ დონეზე სერვისის მიმწოდებლებს შეეძლოთ შეაფასონ თავიანთი პრაქტიკა, პროცესები და ლიდერობა ოთხი ძირითადი დომეინის მიხედვით. ამ ინსტრუმენტში მოცემულია დებულებები, რომელთაც უნდა მიენიჭოს ქულა 0-დან 4-ის ჩათვლით, შემდეგნაირად:

0 - საერთოდ არა / არასდროს / არ არის არანაირი მტკიცებულება
1 - ძალიან ცოტა / ძალიან იშვიათად / ძალიან ცოტა მტკიცებულებაა
2 - გარკვეულწილად/ ზოგჯერ / არსებობს გარკვეული მტკიცებულება
3 - საკმაოდ / ხშირად/ არსებობს კარგი მტკიცებულება
4 - ყოველთვის / დიდ წილად / არსებობს ძლიერი მტკიცებულება

# 1 რეაგირება

შევსების თარიღი:

## რეაგირების კონტინუუმი დამაზიანებელი სექსუალური ქცევის მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის

| | დებულება | შეფასება | მინიჭებული ქულის მტკიცებულება/ დასაბუთება | ადგილობრივად არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით / ამ განცხადების დასტური |
|---|---|---|---|---|
| 1.1 | ჩვენ ვიღებთ ზუსტ მონაცემებს იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების რიცხვის შესახებ, რომლებიც საჭიროებენ მხარდაჭერას დამაზიანებელი სექსუალური ქცევის (დსქ)- ს გამო. ასევე ვიღებთ იმ შემთხვევების მონაცემებსაც, რომლებიც გამოვლენილია რეფერალური პროცესების საშუალებით, მაგრამ შესაძლოა არ იღებდეს დახმარებას. | | | |
| 1.2 | ჩვენს მიერ მოგროვებული მონაცემები გვაწვდის ზუსტ ინფორმაციას, ჩვენს რეგიონში, იმ ბავშვებისა და ახალგაზრდების შესახებ, რომლებსაც აქვთ დსქ. ეს მონაცემები ასევე მოიცავს ინფორმაციას მათი ასაკის, სქესის, ეთნოსის, სწავლის სირთულეების და/ან განსაკუთრებული საჭიროებების შესახებ. ეს ინფორმაცია გვეხმარება რეაგირებასა და თანამშრომლების განვითარების პროცესის დაგეგმვაში. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **1.3** | ადგილობრივი თემზე დაფუძნებული გუნდები, უზრუნველყოფენ კონსულტაციებს და უწევენ რეკომენდაციებს სკოლებს დსქ-ს შესახებ. | | | |
| **1.4** | დსქ-ს მქონე ბავშვების მშობლები და მზრუნველები იღებენ მათვის საჭირო, მგრძნობიარე, არა მასტიგმატიზირებელ და ხელმისაწვდომ მხარდაჭერას. | | | |
| **1.5** | ყველა პარტნიორ სააგენტოს შორის არსებობს  პრობლემური სექსუალური ქცევის და ძალადობრივი სექსუალური ქცევის ერთი, გააზრებული განმარტება. | | | |
| **1.6** | ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ დსქ-ს მქონე ბავშვეს და ახალგაზრდებს აქვთ შესაბამისი მხარდაჭერა, სადაც გათვალისწინებულია  დსქ-ს გამომწვევი მიზეზები: | | | |
| 1.6a | სახლში მცხოვრები ბავშვები და მოზარდები (ოჯახების მხარდაჭერის ჩათვლით) | | | |
| 1.6b | სახელწიფო ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვები და მოზარდები (მათ შორის ის ბავშვები რომელიც დაგეგმვის და გადაყვანის პროცესშია) | | | |
| 1.6c | ბავშვები და ახალგაზრდები რომლებიც არიან უსაფრთხო / ზედამხედველობით გარემოში (მათ შორის ის ბავშვები რომელიც დაგეგმვის და გადაყვანის პროცესშია) | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 1.7 | გვაქვს ეფექტური თანამშრომლობა მეზობლად არსებულ ცენტრებთან, რაც გვაძლევს საშუალებას ჩავატაროთ მაღალკვალიფიციური შეფასება და გავუწიოთ შესაბამისი დახმარება ყველაზე რთულ შემთხვევებსაც კი. | | | |
| 1.8 | დსქ-ს მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებზე მიმართული პრაქტიკა და სერვისის პასუხი პროპორციულია მათი რისკებისა და საჭიროებების, ხოლო ინტერვენციები შეიძლება სწრაფად შეიცვალოს გაზრდილი რისკების გამო. | | | |
| კომენტარი: | | | | |

# 2 პრევენცია

შევსების თარიღი:

## პრევენცია, იდენტიფიკაცია და ადრეული ინტერვენცი

| | დებულება | შეფასება | მინიჭებული ქულის მტკიცებულება/ დასაბუთება | ადგილობრივად არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით / ამ განცხადების დასტური |
|---|---|---|---|---|
| **2.1** | ჩვენ გვაქვს პრევენციული ინიციატივები და დარწმუნებული ვართ, რომ ეს ეფექტური: | | | |
| 2.1a | პირველადი პრევენცია (თემის ან მოსახლეობის მასშტაბით) | | | |
| 2.1b | მეორეული პრევენცია (ინტერვენციები, მაღალი ძალადობის რისკის მქონე მოზარდების, ინდივიდების და თემის დონეზე. ასევე განხორციელებული დსქ-ს ინციდენტის შემდგომი რისკების შეფასება. | | | |
| 2.1c | მესამეული პრევენცია (ძალადობის შემდგომი ინტერვენციები მსხვერპლისა და მოძალადის დასახმარებლად) | | | |
| **2.2** | ჩვენ ვთავაზობთ არა განსჯით, არა მასტიგმატიზირებელ ინფორმაციას და რეკომენდაციებს ბავშვებს, ახალგაზრდებს, მათ მშობლებსა და მზრუნველებს. ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სხვადასხვა კულტურისა და წიგნიერების დონეზე. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.3 | ჩვენს რეგიონში ბავშვებსა და ახალგაზრდებს შეუძლიათ მოიძიონ სანდო/შესაფერისი ინფორმაცია, ანონიმურად დასვან რთული კითხვები, ასევე საჭიროების შემთხვევაში მიიღონ მხარდაჭერა და დახმარება. | | | |
| 2.4 | ჩვენს რეგიონში სკოლები უზრუნველყოფენ მაღალი ხარისხის განათლებას სექსისა და ურთიერთობების შესახებ, რაც ასევე მოიცავს დისკუსიას სექსუალური თანხმობის შესახებ. | | | |
| 2.5 | დსქ-ს თანმდევი ბარიერები, ბავშვთა და მოზარდთა განვითარების კონტექსტის გათვალისწინებით, გათვალისწინებულია განათლების, ჯანმრთელობისა და სხვა სააგენტოებში. | | | |
| 2.6 | მინდობით აღმზრდელებისთვის, საცხოვრისების პერსონალისთვის და მშვილებლებისთვის უზრუნველყოფილია მაღალი დონის ტრენინგები და რჩევები ნორმალური სექსუალური ქცევის განვითარებასთან დაკავშირებით და ასევე, თუ როგორ უნდა მოახდინონ რეაგირება პრობლემურ სექსუალურ ქცევაზე. ეს დადებითად აისახება მზრუნველის / პრაქტიკოსის შფოთვის ხარისხზე და საცხოვრებლის სტაბილურობაზე. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.7 | დსქ-ს მქონე ბავშვების ადრეული შეფასება მოიცავს კეთილდღეობის, ფართო საჭიროებების და პრობლემების შეფასებას. ასევე ოჯახურ, სოციალურ, ეკონომიკურ და განვითარების ფაქტორებს. | | | |
| 2.8 | ჩვენს რეგიონში განხორციელებული ყველა პრევენციული ინიციატივა და ადრეული ჩარევა დაკავშირებულია ბავშვთა დაცვის სისტემებთან და ემყარება სპეციალიზებულ ბავშვთა სოციალურ დახმარებას, რათა უზრუნველეყოთ რისკებზე და მოწყვლადობაზე ეფექტური რეაგირება. | | | |
| კომენტარი: | | | | |

# 3 შეფასება

შევსების თარიღი:

## შეფასებისა და გადამისამართების ეფექტური გზები

| | დებულება | შეფასება | მინიჭებული ქულის მტკიცებულება/ დასაბუთება | ადგილობრივად არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით / ამ განცხადების დასტური |
|---|---|---|---|---|
| **3.1** | პრაქტიკოსების მიერ გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები დაფუძნებულია მტკიცებულებებზე და შესაფერისია ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის (ასაკი, კოგნიტური შესაძლებლობები და ა.შ.). | | | |
| **3.2** | ბავშვის ან ახალგაზრდის შეფასება ჰოლისტურია და მოიცავს ინფორმაციას დამაზიანებელი ქცევების, განვითარების, ოჯახის და გარემოს შესახებ. | | | |
| **3.3** | ჩვენ მიერ გამოყენებული დსქ-ს შეფასების ჩარჩო და პროტოკოლები მჭიდრო კავშირშია არსებულ შესაბამის ჩარჩოებთან და პრაქტიკოსებს შეუძლიათ ეფექტურად ნავიგაცია (მაგალითად, სკოლებში არსებული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმში მკაფიოდ არის გაწერილი დსქ-ს შემთხვევაში მათი როლი და ა.შ ) | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3.4** | დსქ-ს მქონე ბავშვთა და ახალგაზრდების შეფასება ჩვენს რეგიონში მულტი დისციპლინარული და მულტი სექტორულია და ასევე განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ბავშვთა დაცვის საკითხების შესახებ. | | | |
| **3.5** | ჩვენ, საწყის ეტაპზე, ვახორციელებთ საჭიროებების შეფასებას, რათა მოხდეს სისტემაში შემთხვევის სწორად შესვლა და ასევე შესაბამისი რესურსებისა და მხარდაჭერის მიწოდებას. ეს მოიცავს იმ შემთხვევებსაც, რომელიც ეხება პოლიციას. | | | |
| **3.6** | ჩვენს რეგიონში საგანმანათლებლო აქტივობები მხარდაჭერილია, რათა:<br>- დაეხმაროს ახალგაზრდებს პოზიტიური ცხოვრების წესის დაცვაში, არჩევნის გაკეთებასა და სხვების მიმართ პატივისცემის გაღვივებაში.<br>- იდენტიფიკაციაში<br>- რეფერალში/გადამისამართებაში<br>- შეფასებაში<br>- უწყებათაშორისი პროცესების მხარდაჭერაში. | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **3.7** | ჩვენი რეფერალური პროცესები და სააგენტოებს შორის არსებული გზები გასაგებია ყველა პროცესში ჩართული სტრუქტურისთვის. თანამშრომლები იყენებენ შესაბამის ენასა და ტერმინოლოგიას და შესაბამისობაში არიან სხვა მიმდინარე პროცესებთან. | | | |
| **3.8** | ჩვენი შეფასებისა და რეფერალური პროცესების განხილვა ხდება რეგულარულად, რათა დავრწმუნდეთ, რომ ისინი გამართულად მუშაობენ, რეაგირებენ ადგილობრივ საჭიროებებზე და არიან ხელმისაწვდომი; ეს შეფასება მოიცავს ბავშვების, ახალგაზრდების და ოჯახების შეხედულებებსაც. | | | |
| კომენტარი: | | | | |

# 4 ინტერვენციები

შევსების თარიღი:

## ინტერვენციისადმი მულტი-მოდალური მიდგომა

| | დებულება | შეფასება | მინიჭებული ქულის მტკიცებულება/ დასაბუთება | ადგილობრივად არსებობს უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით / ამ განცხადების დასტური |
|---|---|---|---|---|
| **4.1** | ჩვენს რეგიონში დსქ-ს მქონე ბავშვებსა და ახალგაზრდებს გაეწიათ ინტერვენცია და მხარდაჭერა, რომლებიც: | | | |
| 4.1a | ეფექტურად ერგება წარმოდგენილ პრობლემას, ითვალისწინებს ბავშვისა და ახალგაზრდის ადრეულ გამოცდილებებს (გადაუმუშავებელი ტრავმა, ძალადობის გამოცდილება, ოჯახური პრობლემები) და მისი მიდგომით არის მრავალმხრივი. | | | |
| 4.1b | მტკიცებულებაზე დაფუძნებულია და მოიცავს შეფასებას | | | |
| 4.1c | მდგრადობაზე დაფუძნებულია (მხარდაჭერა, გაძლიერებაზე დაფუძნებულია, ბავშვსა და ოჯახზე ორიენტირებულია, ფოკუსირებულია ბავშვის მიერ საკუთარი ქცევის გაგებაზე და ა.შ) და არა დეფიციტურ მოდელზე. | | | |
| **4.2** | პრობლემური სექსუალური ქცევის მქონე მცირეწლოვან ბავშვები უზრუნველყოფილნი არიან მათი განვითარების შესაბამისი დახმარებით, გათვალისწინებულია მათი მოწყვლადობა (მაგალითად, ისინი ვინც თვითონ განიცდიან ძალადობას); | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 4.3 | ჩვენს რეგიონში, დსქ-ს მქონე მოზარდებში განხორციელებული მხარდაჭერა მიმართულია იმ მრავალფეროვან საჭიროებებზე, რომლებიც ხშირად გვხვდება ამ ახალგაზრდებში (ემოციური, ფსიქოლოგიური და ფიზიკური პრობლემები; მეტყველებისა და სმენის შეფერხება; ქცევითი პრობლემები; განათლების სირთულეები, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი-ADHD). | | | |
| 4.4 | ჩვენს რეგიონში  გვაქვს სპეციფიკური მხარდაჭერის პროგრამა იმ ბავშვებისა და მოზარდებისთვის, რომლებსაც აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები, დასწავლის პრობლემები და ასევე ხასიათდებიან დსქ-ით. | | | |
| 4.5 | ჩვენ შეგვიძლია ვაჩვენოთ, რომ დსქ-ს მქონე ახალგაზრდა ქალთა ისტორიებში უფრო მაღალია ვიქტიმიზაცია და ტრავმა. ჩვენ  ვთავაზობთ მათ ეფექტურ სერვისებს, რომლებიც მოიცავს რეაგირებას ძალადობრივ გამოცდილებაზე (მაგალითად, გაზრდილი ფსიქიკურ ჯანმრთელობის სირთულეების გაჩენის ალბათობა) | | | |
| 4.6 | როდესაც დსქ-ს მქონე ახალგაზრდები კანონთან კონფლიქტში ხვდებიან (დსქ-ს მქონე ახალგაზრდები, რომლებიც ასოცირებულნი არიან დაჯგუფებებთან) მათი საჭიროებები და რისკები ერთობლივად  განიხილება საზოგადოების უსაფრთხოებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესაბამისად (ზოგიერთი ახალგაზრდა სისხლის | | | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | პასუხისმგებლობაში მიეცემა, თერაპიული დახმარების ნაცვლად). | | | |
| 4.7 | ჩვენს რეგიონში, დსქ-ს მქონე ბავშვების და ახალგაზრდების ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან გაძლიერებაზე დაფუძნებული მხარდაჭერით. ჩვენს პრაქტიკოსებს კარგად აქვთ გაცნობიერებული ამ მშობლების დისტრესი, სირცხვილის განცდა და დისფუნქციური ოჯახის სტრუქტურა, რომელიც ხშირად თან ახლავს დსქ-ს. | | | |
| 4.8 | ჩვენს რეგიონს შეუძლია იმის დემონსტრირება რომ, ბავშვები და ახალგაზრდები იღებენ ეფექტურ მხარდაჭერასა და განათლებას დსქ-სთან დაკავშირებით, ახალი მედიისა და ტექნოლოგიის გამოყენებით; | | | |
| კომენტარი: | | | | |

# გამოყენებული ლიტერატურა

**Hackett, S, Branigan, P and Holmes, D, Harmful sexual behaviour framework - An evidence-informed framework for children and young people displaying harmful sexual behaviours, (2019) second edition, London, NSPCC.**

Advancing the Defence Rights of Children – Manual for Practitioners, led by Fair Trials, in collaboration with the International Juvenile Justice Observatory ('IJJO'), the Hungarian Helsinki Committee, and APADOR-CH. Available at http://www.apador.org/wp-content/uploads/2017/03/ADRC-Training-Manual-Sep-2018-eng.pdf